წლიწადი მეორე ფასი 5 კაპ. შაბათი, 30 იანვარი 1916 წ. № 23

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივ სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მ.
დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წლიწადი მეორე **საქართველო** წლიწადი მეორე

**უპრემიოდ:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ღირს 8 მ. 50 კ. ფასის გადახდა შეიძლება სამ ვადაზედ: პირველ იანვრამდე 3 მ., პირველ მაისამდე 3 მ., პირველ ენკენისთვემდე 2 მ. 50 კ., თვიურად—80 კ.

**პრემიით:** წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 10 მ. ფასის გადახდა შეიძლება 3 ვადაზედ: 1 იანვრამდე 5 მ., 1 მაისამდე 3 მ., 1 ენკენისთვემდე 2 მ. ვინც 1 მარტამდე 9 მ. შემოიტანს, გაზეთს ყველა პრემიით მიიღებს.

**პრემიები:** 1) სალიტერატურო კრებული „მერანი“ გამოვა 3 თვეში ერთხელ. ყოველ კრებულში მოთავსებულ იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ორიგინალი ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრების მიერ დასურათებული. 2) საქართველოს ბიბლიოთეკა „ჩვენი მრწამსი“ წიგნაკებად, საქართველოს ეკონომიურს და პოლიტიკურს საკითხებზედ. 3) საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური დიდი რუქა.

კერძო მყიდველთათვის თვითეული კრებ. ეღირ. 1 მ. 30 კ., რუქა—2 მ., საქართველოს ბიბლიოთეკის თვით. წიგ.—50 კ.

**ფულის გამოგზავნა და ხელის მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში ქ. თბილისი, მოსკოვის ქუჩა, სახლი გაბაშვილისა № 4. ფოსტის ყუთი 76.** (Тифлисъ Московская ул. домъ Габаева № 4. почтовый ящикъ № 76.)

**ხელის მოწერა შეიძლება:** ქუთაისში: 1) თომა მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში, 2) კ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში, 3) ი. კვიცარიძის მაღაზიაში. ბათომში: წიგნის მაღაზია „ცოდნაში“. თბილისში: ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზოგადოებაში ვასილ ედილაშვილთან. „Новая Рѣчь“-ის წიგნის მაღაზიაში ივანე კიკნაძესთან. სოსო ივანიძესთან. ხარფუხის კლუბის მამასახლის ალექ. ლორთქიფანიძესთან და სასტუმრო „უნივერსალში“, წიგნის მაღაზია „ცოდნა“-ში ს. მერკვილაძესთან. თელავში: ბ. სულხანიშვილთან, ვ. ციცქიშვილთან და კ. ონიკაშვილთან. სიღნაღში: ნიკო ახმეტელაშვილთან. ლაგოდეხში: ფორე ზედელაშვილთან. ქვემო ქიზიყში: ფიფო ალადაშვილთან. ზუგდიდში: კატო კედიასთან. მოსკოვში: გრიგოლ ვეშაპელთან. გორში: ალექსანდრე რომანიშვილთან. ხაშურში: ტრიფონ ჯაფარიძესთან. ჭკადუაში: კალისტრატე ალშიბაიასთან. დუშეთში: მღ. კონსტ. კავკასიძესთან. ს. ფშავში: ევგ. დალაქიშვილთან. ს. შილდაში: ვასილ კევლიშვილთან. ს. ენისელში: ალ. ჯორჯაძესთან. კახში: ზაქარია ედილაშვილთან. მაჩხაანში: ალექსანდრე ნადირაშვილთან და ნიკო კორაშვილთან.

გაზეთის კანტორა ღიაა დილის 9—3 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი**.

პირველი წელი — პირველი წელი

„საქართველო“-ს რედაქციის თაოსნობით 1916 წლიდან სამთვეში ერთხელ გამოვა

კაზმული და სამხატვრო კრებული

„მერანი“

კრებული წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 4 მანეთი. ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: 1 მარტამდე 2 მანეთი, 1 თიბათვემდე 2 მანეთი, ცალკე ნომერი ეღირება 1 მ. 30 კ. კრებულში მოთავსებული იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრებისგან დასურათებული. შემოდგომის კრებული საგანგებოდ მიეძღვნება ჩვენი დიდებულის მგოსნის ნ. ბარათაშვილის ძვირფას ხსოვნას მის დაბადებიდან ასი წლის თავის აღსანიშნავად.
ხელის მოწერა მიიღება „საქართველოს“ რედაქციის კანტორაში, თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4.

გაზეთ „საქართველო“-ს წლიურ ხელის მომწერთ კრებული „მერანი“ უფასოდ დაურიგდებათ.

ისადილეთ გემრიელად!

ძველ სემინარიის შენობაში სასტუმრო

„ოსტერია“

უმასპინძლდება გემრიელ სადილებით და ვახშმებით
სამზარეულო ყოველ ჟამს ამზადებს ევროპიულ დ კავკასიურ

სადილ ვახშმებს

მწვადები ყოველგვარი. საცივი, ხარშო იმერული
საუცხოვოდ და სუფთად მორთული კაბინეტები

ბილიარდები, ნარდი

პატივისცემით { ი. ს. აბაშიძე, ვ. ა. თოფურიძე

(წ.—35—5)

ივახშმეთ გემრიელად!

კვირას, 31 იანვარს

„ახალ კლუბში“

კავკასიის მაჰმადიან ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება ჰმართავს

საქველმოქმედო საღამოს

საზოგადოების საშუალებათა გასაძლიერებლად ფრიად საგულისხმო პროგრამით.
„საღამოზე“ შესასვლელი ბილეთები ღირს თერთმეტი აბაზი.
დასაწყისი საღამოს 9 საათზე.
ბილეთები იყიდება „ძმურ ნუგეშში“ ხოლო „საღამოს“ დღეს კი კლუბის შესავალთან.

(2—44—1)

სახალხო სახლი

კვირა დილით, 31 იანვარს 1916 წელს

თბ. ქართველ მუშათა მომღერალ-მგალობელთა გუნდი მიხეილ კავსაძის ლოტბარობით გამართავს ოთხ განყოფილებიან სახალხო

კონცერტს

1) მ. კავსაძე წაიკითხავს თავის ლექცია-მოხსენებას: ქართული მუსიკა (სიმღერა-გალობა), მისი ეხლანდელი მდგომარეობა. 2-რე და 3-მე გან. გუნდი ქართულ-ჩერქეზულად გამოწყობილი შეასრულებს ქართლ-კახურ და იმერულ სიმღერებს. 4-ხე განყ. გუნდი გლეხურად გამოწყობილი შეასრულებს სოფლურ სცენებს სიმღერებით. ფანდურს დაუკრავს ვანო უსტიაშვილი.
შემოსავლის ნაწილი გადაიდება ჭოლას ფონდის გასაძლიერებლად.
ადგილების ფასები 4 კ-დან 50 კ-მდე. ✦ დასაწყისი დილის 12 საათზე.
დაწვრილებით პროგრამაში. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.
მორიგი წევრი გამგეობისა ი. ქარსელაძე.

ექიმი-დოსტაქარი

გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

✦პროვიზორის ახვლედიანისა✦

ექიმი

მ. დ. წინამძღვრიშვილი

უ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულელებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

კბილის ექიმი

ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

კბილის ექიმმა

მამულაიშვილმა

(ხოდნევისამ)

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.
ოლღას ქუჩა, № 22.

# ომის ამბები

## ომის დეპეშები

28 იანვარი.

**უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბისა**

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. რიგის ფრონტზე იშვიათი თოფისა და საარტილერიო სროლაა. ბევრს ადგილას რუსთა არტილერიამ შეაჩერა გერმანელ მუშათა მოძრაობა. შლოსკოკენჰუზენის სამხრეთ-დასავლეთით, დვინაზე, ფრიდრიხ შტადტის ზემოდ, რუსები მარჯვედ ისვროდნენ. იაკობშტადტის რაიონში გერმანელთა არტილერია ძლიერი ცეცხლით მძვინვარებდა დუკერნთან და ლივენჰოკისა და მდ. სუსეის შუა. დვინსკის მიდამოებით მკვირცხლი სროლაა. ტენენფელდის რაიონში გერმანელები რუსთა სანგრებში ისვროდნენ რგვალ მწვანე ყუმბარებს, რომელნიც გასკდომისათანავე მახრჩობელა ბოლს უშვებდნენ. სვენტენის ტბის რაიონში რუსთა რაზმებმა მარჯვედ გაიერიშეს და რამდენიმე ტყვე წამოიყვანეს. ჩემერინის აღმოსავლეთით, სოვნოსა და ლუცკის შუა, რუსებმა აიღეს ერთი მაღლობი, ამასთანავე მტრის კონტრიერიშიც მოიგერეს. ცებუროვის აღმოსავლეთით რუსებმა ხიშტით შეუტიეს და ერთი მაღლობი აიღეს. ავსტრიელებმა კონტრიერიში მიიტანეს, მაგრამ რუსებმა უკუაგდეს და თანაც 70 ჯარისკაცი წამოიყვანეს ტყვედ. ზამუშინის სამხრეთ-დასავლეთით და ზალეშჩიკოვის აღმოსავლეთით რუსებმა დაიბრუნეს ავსტრიელთა მიერ ნაღმით აფეთქებული ადგილი. რარანჩეს აღმოსავლეთით ერთს მაღლობზე ააფეთქეს ნაღმი, მაგრამ აქაც რუსებმა ხელი შეუშალეს ავსტრიელთ აფეთქებული ადგილი დაეჭირათ.

**შავი ზღვა.** ზღვის სანაპიროებს რუსთა ნაღმოსნებმა ზარბაზანი დაუშინეს. მეორე ჯგუფმა რუსთა ნაღმოსნებისამ ანატოლიის ნაპირებზე 7 იალქნიანი პატარა ხომალდი დაატყვევა.

**კავკასიის ფრონტი.** ერთს ადგილას რუსებმა წინსვლის დროს 200 ასკერი დაატყვევეს. დავლად წამოიღეს მათი იარაღი.

**სპარსეთში, ქამადანის სამხრეთით, რუსებმა განსდევნეს გამაგრებულ პოზიციებიდან მოწინააღმდეგის მთელი რაზმი.**

—

**პარიზი,** 27 იანვარი. ბელგეთში ჩვენი შორსმსროლელი არტილერია ზარბაზანს უშენდა ვოზანის თხრილებს. არტუაში საკმაოდ ძლიერი საარტილერიო ბრძოლაა „199“ მაღლობისა და ნევილიდან მომავალ გზის შუა. „140“ მაღლობთან გერმანელებმა ნაღმი ააფეთქეს და შემდეგ იერიშით წამოვიდნენ, მაგრამ მალე მოვიგერიეთ. სუასონის და რეიმსის შუა თავს დავესხით მტრის პატარა სადარაჯოს, რომელიც გერმანელებმა სწრაფად დასტოვეს და გაიქცნენ. დღეს საღამოთი ბელფორის და მის მიდამოებში 7 ყუმბარა გამოისროლეს.

**ლონდონი,** 28 იანვარი. 3 საათზე და 30 წუთ. დღისით გერმანელთა ორი ჰიდროპლანი მოუახლოვდა კენტის სანაპიროებს და სამი ყუმბარა გადმოაგდო, რომელნიც რამსგეიტის მიდამოებში დაეცა ველზე. შემდეგ 4 ყუმბარა ჩამოაგდო ბროდსტერის შკოლის თავზე. სამი აფეთქდა. ნივთიერი ზარალი და ადამიანთა მსხვერპლი არ ყოფილა. მხოლოდ ფანჯრები დაიმსხვრა.

**რომი,** 27 იანვარი. მთელს ფრონტზე საარტილერიო სროლაა, განსაკუთრებით მდ. იზონცოზე. ჩვენი არტილერია მარჯვედ მოქმედებს.

**ჰავრი,** 27 იანვარი. ბელგის ფრონტზე ჩვეულებრივი საარტილერიო სროლაა.

**პეტროგრადი,** 27 იანვარი. წმ. ალექსანდრე ნეველის ორდენით და ხმლით დაჯილდოვებული იქმნა კავკასიის ჯართა უფროსი იუდენიჩი.

**ნიუ-იორკი,** 26 იანვარი. ვაშინგტონიდან მოსულ ცნობების თანახმად შეერთებული შტატები და გერმანელები მორიგდნენ „ლუზიტანიის“ დალუპვის შესახებ.

**ნიუიორკი,** 28 იანვარი. „ლუზიტანიის“ შესახებ კამათი დასრულებულია. გერმანელთა წინადადება მიღებულია. გერმანელი აგენტები მხურვალედ მოქმედებენ, რათა კონგრესი წინააღუდგეს მოკავშირეთა ბლოკადას. ამერიკაში მყოფი გამოჩენილი მოღვაწე გერმანელები აცხადებენ, ჩვენი წყალქვეშა ნავები განაგრძობენ მოქმედებას, ვიდრე ჩრდილო ამერიკელნი შევიწროებულნი იქნებიან ასეთი ბლოკადისაგანაო.

**კოპენჰაგენი,** 27 იანვარი. ბერლინიდან იუწყებიან მეფე ფერდინანდი და გენერალი ჟეკოვი და მინისტრთა თავმჯდომარე რადოსლავოვი რამდენიმე დღით მოვიდნენ გერმანეთის საიმპერატორო მთავარ სადგომში. იქვე გაეშურა საიმპერიო კანცლერი და გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგი.

**კოპენჰაგენი,** 20 იანვარი. როტერდამიდან ცნობა მოვიდა 17 იანვარს პარიზზე თავდამსხმელი ერთი ჰაეროპლანთაგანი გენოს პროვინციაში ჩამოვარდა და დაიმსხვრაო. მთელი ეკიპაჟი დაღუპულა.

**ათინა,** 28 იანვარი. ალბანეთიდან სერბიელი ჯარის კაცები გადაჰყავთ. კორფუთზე 86 ათასი კაცია, ბაზერტში 10 ათასი, სოლუნში 5 ათასი. ელიან კიდევ 50 ათას ჯარისკაცს. მთაშაველებსაც კორფუზე გადაიყვანენ.

**თეჰერანი,** 27 იანვარი. ქერეჯის მახლობლად შეიპყრეს 4 ევროპიელი, რომელნიც გამოდგნენ თეირანში მყოფი ოსმალთა ელჩი ასიმ ბეი, ავსტრიელი სამხედრო აგენტი და ორი რუსების მიერ წამოყვანილი ავსტრიელი სამხედრო ტყვე, რომელნიც სპარსეთში გაქცეულან.

**პეტროგრადი,** 28 იანვარი. ფინანსთა მინისტრის მიერ აკრძალულ იქმნა სამზღვარ გარედ გატანა თამბაქოსი, თუთუნისა, ფურცლის კლარტები მეორე და მესამე ხარისხისა.

**კორფუ,** 27 იანვარი. ავსტრიელებმა დაიჭირეს სერბელთა მიერ დატოვებული ქალაქი ალესიო და ახლა დურაცოზე მიდიან. 19 იანვარს მათი სამთო ბრიგადა და შეიარაღებული ალბანელთა ბრბო შეებრძოლა სერბელთა ერთ-ერთს საარიერგარდო დივიზიას, მაგრამ სერბებმა უკუაგდეს, ტყვედ წაიყვანეს ასი კაცი, რომელთაგან მეტი წილი უნგრელები არიან.

**პარიზი,** 27 იანვარი. მინისტრები ბრიანი და ბურჟუა მინისტრის ამხანაგ ტომითურთ დღეს დილით იტალეთში გაემგზავრნენ.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

### კრუპის ქარხანა შავლში

კრუპის ქარხნის განყოფილება გაუხსნიათ შავლში, სადაც საომარ მასალას ამზადებენ. ჯერ გერმანეთიდან მოყვანილ ხელოსნებს ამუშავებდნენ, მერე ადგილობრივი მკვიდრნი და ტყვე ფრანგებიც ჩააბეს მუშაობაში. მომუშავენი ქარხანაშივე ცხოვრობენ და ქარხნის ფარგალს ვერ გასცდებიან.

შავლის კომენდანტმა სავალდებულო დადგენილება გამოსცა: სასტიკად დაისჯება ყველა, ვინც კი გერმანელების საწყობების ახლოს გაივლის, განსაკუთრებით თოფხანის ახლოს.

### მინსკის მიდამოებში

ავსტრიელებს ვოლინის მიდამოებიდან მინსკის მხარეს, ტბებისაკენ გადაუყვანია ჯარი, საიდანაც სამაგიეროდ გერმანელთა ველფალის დივიზია სამხრეთისაკენ გაუგზავნიათ. სვენციანის მიდამოებში ავსტრიელ-გერმანელთა ჯარი ერთმანეთშია შეურევიათ.

### ვილჰელმის განზრახვა.

ვილჰელმი დასავლეთის მხარეს ანექსიის (შემოერთების) წინააღმდეგია, ხოლო აღმოსავლეთით დაკმაყოფილდება იმით, უკეთუ საზღვარს სწორე ხაზს გაავლებს და ამასთანავე შეიერთებს რეველს. მაგრამ ეფიქრება რუსეთისა და მის მრავალ-რიცხოვან მცხოვრებისა და ამიტომ სცდილობს რუსეთი სხვა გზით დაასუსტოს შეჰქმნას განსაკუთრებული სახელმწიფო: პოლონეთისა, ლითვისა დ უკრაინისა და დაარქვას ამ სახელმწიფოს: „კონფედერაცია დასავლეთ სლავიანებისა“. სატახტო ქალაქი იქნება პოლონეთის, უკრაინის და ლიტვის საზღვარზე. ამ სახელმწიფოში მცხოვრებთა რიცხვი 50 მილიონი იქნება. ამ სახელმწიფოს საზღვრებში მოთავსდება ქალაქი ლოძი, ვარშავა, ბელოსტოკი, ვილნა, ეკატერინოსლავი და ოდესა. და იქნება რუსეთისაგან დამოუკიდებელი. თავის თავად ცხადია, რომ ეკონომიურად დაკავშირებული იქნება გერმანეთთან და ავსტრიასთან.

### პროფესორ ბეკერის აზრი

პროფესორ ბეკერს გერმანულ-აზიურ საზოგადოებაში წაუკითხავს ლექცია იმ თემაზე, თუ რა როლს თამაშობს მუსლიმანობა მსოფლიო ომში.

გერმანეთის ოსმალეთთან ერთად მუშაობამ—უთქვამს ბეკერს—ორივე სახელმწიფოში დაჰბადა საერთო ინტერესი. რადგან წინად სამაჰმადიანო ქვეყანა ევროპას მოწყვეტილი იყო, დღეს ეს კავშირი და ერთად მუშაობა არა ჩვეულებრივ მოვლენად მიაჩნიათ. აქ ვგულისხმობ არა რჯულის საკითხებს, არამედ პოლიტიკურს. გეოგრაფიულ მდებარეობის გამო გერმანეთს არ შეუძლიან იფიქროს იმ ადგილების დაჭერა, რომელნიც სამაჰმადიანო ქვეყნებს ეკუთვნის. გერმანეთის პოლიტიკის მიზანი იყო დამოუკიდებლობა შეენარჩუნებინათ აღმოსავლეთის სახელმწიფოებს.

აი, სწორედ ამის მიზეზით იბადება გერმანეთსა და სამაჰმადიანო ქვეყნებს შორის ერთობა.

რა როლი შეასრულა ისლამმა ამ ომიანობის დროს?„ ოსმალეთი პირდაპირ მიემხრო გერმანეთს, ამის გარდა სამხთო ომი გამოაცხადა, რათა მას მიჰშველებოდნენ იარაღით თუ თანაგრძნობით. ვინც იფიქრებდა იარაღით ხელში საერთო აჯანყებას, მას გათვალისწინებული არ ექმნებოდა ის გარემოება, რომ ინგლისმა და საფრანგეთმა ათის წლის განმავლობაში თავის კოლონიებს იარაღი აჰყარა, ჯოხით ხელში ხომ არ შეაკლავდნენ თავს თოფ-ზარბაზნებს.

ბეკერის აზრით სამაჰმადიანო ქვეყანამ დიდი დახმარება გაუწია გერმანეთსაო.

### რუმინეთში.

გერმანელების აგენტებმა რუმინეთში დაიკვეთეს 60 ათასი ვაგონი სიმინდი, 30 ათასი ვაგონი ხორბალი დ 10 ათასი ვაგონი ქერი და შვრია. რუმინელებმა წინდაწინვე მიიღეს 60 მილიონი ფრანკი, დანარჩენს მერე მიიღებენ.

პალატაში შეაქვთ „კანონ-პროექტი, რათა 200 მილიონი მანეთი გადაიდოს ჯარის საჭიროებისათვის.

### ვილჰლმი დუნაიზე.

ამას წინად ვილჰელმი ნიშს ესტუმრა. ეხლა ხელმეორედ უმოგზაურნია მდ. დუნაიზე ავსტრიელების ნაღმოსან „რადეცკი“-თ. თან ახლდნენ ტახტის მემკვიდრე ერცჰერცოგი კარლ-ფრანც-იოსები, გერმანეთის მთავარ-შტაბის უფროსი ფალკენჰაინი და გენ. ფონ-ჰელზენი.

### ზავის გარშემო.

გერმანული გაზეთი „რაიხს პოსტ“-ი ეხება რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრის საზონოვის განცხადებას, ომი მალე გათავდებაო და დასძენს: მოკავშირე სახელმწიფოებმა, სჩანს, ხელი აიღეს წინანდელს გადაწყვეტილებაზე, რომლის მიხედვითაც ავსტრია-უნგრეთ-გერმანეთი უნდა შეემუსრათ და გაენადგურებინათო.

„ნოიე ფრეიე პრესსე“ სწერს: საზონოვის განცხადება ომის მალე დასრულების თაობაზე, ინგლისის მთავრობის განცხადებას ეწინააღმდეგება. ინგლისმა ომის დასასრული 2 წლით გადასდო. გაზეთი დასძენს: რუსეთი ეხლა უფრო მეტად ადგია შერიგების გზასო.

### ცეპელინების სადგური.

გერმანელებს ქ. ლიდაში დაუსრულებიათ ცეპელინების დიდ სადგურის აშენება. დღევანდლამდე ლიდაში კოვნოდან გადიფრინდა ხოლმე ცეპელინები და ცის ქვეშ იყო მოთავსებული. ეხლა კი ლიდაში ექნებათ ცეპელინების სადგური, რუსეთის ასპარეზზე სამოქმედოდ. აგებული სადგური უჩინარ ფერად შეღებეს. სადგური ისეა აგებული, რომ, თუ დასჭირდათ, მის დაშლა-წაღება შეიძლება.

### იტალიაში.

იტალიაში მილანელს ინჟენერს კაპრონის ახალი ჯურის საფრენი გამოუგონია. საფრენს შეუძლიან 500 კილოგრამი ასაფეთქებელი მასალის ზი-

დვა. ეხლანდელს საფრენებს მხოლოდ 50 ფუთის ზიდვა შეუძლიანთ.

**ქაღალდის გარშემო.**

„ტაიმს“-ი სწერს: თუ მთავრობამ ინგლისის სავაჭრო ნავოსნობა შეზღუდა და სავაჭრო გემები მხოლოდ ომის საჭიროებისათვის გამოიყენა, ამას უპირველესად ქაღალდისა და გაზეთების შემცირება მოჰყვება. ამისათვის გაზეთებმა თანაბარი ზომა უნდა იხმარონ და ქაღალდი დაზოგვით იხმარონ. მათ უნდა მოსპონ გამყიდველებისაგან დაბრუნებულ გაზეთების მიღება. ამ გზით ქაღალდი 20 პროც. დაეზოგებათ. შეიძლება საჭირო ქაღალდის 20 პროც. გაზეთების დაპატარავებით მოხერხდეს.

**ინგლისის ელჩი შტიურმერთან.**

23 იანვარს ინგლისის ელჩმა სერბიუკენენმა ინახულა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბ. ვ. შტიურმერი.

**ბრძოლა ზღვაზე**

გაზ. „Kieler Neuste“ ნორვეგიის გაზეთების სიტყვით გადმოგვცემს თუ რა ხდება ჩრდილოეთის ზღვაში. ნორვეგიის ორთქლ-მავალმა „ბერგსტრომ“ მოსულმა გერმანეთის ერთ ერთ ნავთსადგურში გადმოგვცა, რომ რამდენიმე საათის წინედ ჩრდილოეთის ზღვაზე ისმოდა ყუმბარების ზუზუნი, მალე გამოჩნდა ცეპელინიც, მას მოჰყვა ორთქლ-მავალიც, რომელიც საშინელ ბრძოლას უმართავდა ჰაერიდან მოსეულ ცეპელინს, ბრძოლამ ნახევარ საათი გასტანა, მაგრამ მალე შენიშნეს, თითქის ცეპელინი შუაზე გადიხა, თუმცა შესწორდა ისევე, მაგრამ დაჰკარგა სითანაბრე. უცბად დაეშვა და სეტყვასავით დააყარა ყუმბარები ორთქლმავალს. ორთქლ-მავალზე ავარდა ცეცხლი, მას მოჰყვა მეორე აფეთქებაც და გემი უფსკრულში ჩაიძირა. ცეპელინიც თანდან ეშვებოდა სწორედ იმ ადგილას, სადაც იდგა ორთქლ-მავალი. როდესაც ნორვეგიელნი მივიდნენ მათ დახვდათ ორთქლმავალის ნაშთებთან ცეპელინის ნამსხვრევებიც. ადამიანები არა სჩანდნენ, ზღვამ შთანთქა. უცბად ტალღამ ამოაგდო ერთ ინგლისელ მეზღვაურის ქუდი, რომელზედაც ეწერა „სლეეპ“ (sleep). ეს ქუდი ალბად ეკუთნოდა იმ ორთქლმავალის მეზღვაურს, რომელნიც ჩრდილოეთ ზღვაში უთვალთვალებდნენ მტრის მოქმედებას.

## უკანასკნელი ფოსტა

**პატრიარქობის აღდგენა.**

სინოდის წრეებში ბევრს ლაპარაკობენ რუსეთში პატრიარქობის აღდგენაზე. ტობოლის ეპისკოპოს ბარნაბას ვრცელი მოხსენება შეუდგენია ამ საგნის თაობაზე და სინოდს წარუდგენს.

**სიძვირე.**

მეომარ სახელმწიფოებში ყველგან საშინელი სიძვირეა. ინგლისში „Boardof of Frade Gasette“-ის ცნობით სანოვაგის მაზანდამ 1914 წ. მკათათვიდგან 1915 წ. გიორგობისთვემდე 43 პროც. იმატა. პარიზში „ლუმანიტეს“ ცნობით საშუალოდ 30 პროც. დაძვირდა ყველაფერი. ინგლისში განსაკუთრებით თევზეულობა დაძვირდა ერთი-ორად, ჩაი, შაქარი, კვერცხი 50 პროც., ხორცეული 50 პროც., პარიზში თევზეული 100 პროც., დაძვირდა, ხორცეული 70—85 პროც., შაქარი 73 პროც., ყველი 50 პროც., პური 20 პროც. გერმანეთში ღორის ხორცი 144 პროც. დაძვირდა, ვენაში —106 პროც., ღორი—175—150 პრ., ღორის ქონი—199—153 პროც., კვერცხი—143—129 პროც. და სხ.

## ბრძოლის ველზე

რიგის ფრონტზე თოფის და ზარბაზნის იშვიათი სროლაა. ფრიდრიხშტადტის ქვემოდ დვინაზე, შლოსკოკენხუზენის სამხრეთ-დასავლეთით საარტილერიო ბრძოლა განუწყვეტლივ სწარმოებს. გერმანელების არტილერია მკაცრად მოქმედებს აგრეთვე იაკობშტადტის რაიონში. დვინსკის რაიონშიც თოფისა და ზარბაზნის სროლამ ფიცხელი ხასიათი მიიღო. სვენტენის ტბის რაიონში მოპირდაპირეთ შეტაკება მოსდით. როვნოსა და ლუცკს შორის რუსებმა დაიჭირეს ერთი მაღლობი და მოიგერიეს იერიში, რომელიც მასზედ გერმანელებმა მიიტანეს. ცებროვის აღმოსავლეთითაც რუსებმა ერთი მაღლობი დაიჭირეს და მასზე გამაგრდენ.

საერთოდ რუსეთ-გერმანეთის ფრონტზე სამხედრო მოქმედება გამოცოცხლდა. ბრძოლა უფრო ინტენსიურია ამ ფრონტის წვერებზე.

შავ ზღვაში რუსის ნაღმოსნების ერთმა ნაწილმა ზარბაზანი დაუშინა ოსმალთა ზღვისპირა პოზიციებს, მეორე ნაწილმა ანატოლიის აღმოსავლეთის ნაპირებთან რამოდენიმე აფრიანი ხომალდი ჩასძირა.

დეპეშის გადმოცემით კავკასიის ასპარეზის ერთ-ერთ ფარგალში რუსებს წინ წაუწევიათ და ტყვედ ორასამდე ასკერი წამოუყვანიათ და ოსმალებისთვის ორი ზარბაზანიც წაურთმევიათ.

სპარსეთში, როგორც სჩანს რუსის ჯარს განუწყვეტლივი ბრძოლა აქვს გარშემორტყმულ მოწინაალმდეგესთან, და ამ ბრძოლის ეპიზოდები დრო-გამოშვებით გვეუწყება. გუშინდელი დეპეშის ცნობით, ქამადანის სამხრეთით რუსებს მოუგერებიათ დიდძალი მოწინაალმდეგე, რომელთაც თავიანთი პოზიციები ნეხოვენის რაიონში ჰქონიათ გამართული.

**მეგრი.**

**თბილისი, 30 იანვარი.**

## დეპეშები

(„საქართველოს“ საკუთარის კორესპონდენტებისაგან).

**კარგად გაგებული პირები ირწმუნებიან, რომ ამ მოკლე ხანში მოწვეული იქნება სრულიად რუსეთის ერობათა და ქალაქთა კავშირების ყრილობა.**

—

**სამხედრო ავტორიტეტების აზრით გერმანელებმა სამხედრო მოქმედება იმ მიზნით გააცხოველეს, რიგა-დვინსკის რაიონში, რომ ფრთები შეეკვეცნათ რუსების მოქმედებისათვის გალიცია-ბუკოვინაში, სადაც ავსტრიელ-გერმანელების მდგომარეობა თან და თან ხიფათში ვარდებოდა. გერმანელების მიზანია, რუსეთის ყურადღება ჩრდილოეთისკენ მიიზიდონ რომ ამით თავისიანებს შვება მისცენ სამხრეთის ასპარეზზედ.**

**კვირის სურათებიან დამატებაში**

**მოთავსებულ იქნება ნახატი ბერიძისა „სოფლის ცხოვრება“. სურათი დავით აღმაშენებლისა. ნ. ნიკოლაძის ქალიშვილი ფრანგ მეუღლესთან ერთად. ომში დაჭრილთა, დახოცილთა და დაჯილდოვებულთა სურათები. და რამდენიმე კარიკატურა. ლექსები ვაჟაფშაველასი (დაუბეჭდავი) და სხვა ავტორებისა. „საიდუმლო მიწერმოწერა“, ოისებ მაჭავარიანისა „მწყემსი დედოფალი“, ოსმალური ზღაპარი ალ. იაკ. ახალციხელისა.**

## ახალი ამბავი

◆ **ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების** მორიგი საჯარო კრება გაიმართება დღეს, საღამოს სწორედ 8 საათზე, მკურნალთა საზოგადოების დარბაზში. კრების საგანი: **საუბარი ქართულ მართლწერაზე. შესავალ სიტყვას იტყვის პ. მირიანაშვილი.**

ამ საზოგადოებამ ქართველ მოღვაწეთათვის აგარაკის ასაშენებელ ფონდის გასაძლიერებლად სოფელ წაღვერის წვრილ კრედიტის ამხანაგობისაგან 1815 წლის მოგებიდან გადადებული 100 მან. მიიღო.

◆ **ქონების დაზღვევა.** 1 იანვრიდან გამოიცა კანონი, რომლითაც სახელმწიფო შემნახველ კასებს ნება ეძლევათ დაიზღვიონ მცხოვრებთა შემოსავალი და თანხები. ინსპექტორად თბილისის რაიონისა ამ საქმეზე დაინიშნა ა. კ. სტენბერგი, რომლის გამგებლობის ქვეშ შედის გუბერნიები: ბაქოსი, განჯისა, ქუთაისისა, სტავროპოლისა, თბილისისა, შავი ზღვისა, ერევნისა და ოლქები ბათომისა, დაღესტნისა, ყარსისა, ყუბანისა და თერგისა.

◆ **წყლების გამოკვლევა.** ქალაქის ლაბორატორიის გამგე გ. გ. ალიბეგოვი სთხოვს ქალაქის თვითმართველობას 600 მანეთს თბილისის მადნეულ წყლების ქიმიური გამოკვლევისათვის.

◆ **საეკლესიო მუზეუმი** ქართველ სამღვდელოებისა დაათვალიერეს ამ დღეებში თბილისის 1 და 3 ქალთა სასწავლებლის და ყარსის რეალურ სასწავლებლის მოწაფეებმა თავის ხელმძღვანელებით. ახსნა განმარტებას აძლევდა მუზეუმის გამგე ბ-ნი მ. ჯანაშვილი, რომელმაც ყველას თავისი ნაშრომი, თარგმანი რუსულ ენაზე (Осада Константинополя скифами—русскими въ 626 году“ VII—XII საუკუნის სიგელ გურჯების და მიხედვით) დაურიგა. შემდეგ მოწაფეებმა დაათვალიერეს სიონის ტაძრის ღირსშესანიშნავი სიძველენი.

◆ **ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების** მთავარმა გამგეობამ შემდეგი შინაარსის წერილები დაუგზავნა საზოგადოების განყოფილებებს: მთავარი გამგეობის აზრით საზოგადოების წევრთა ჩვეულებრივი წლიური კრება მოწვეულ უნდა იქნას არა უგვიანეს ამა წლის 1 მარტისა. საჭიროა ამ კრებისთვის ეხლავე შეუდგეთ მზადებას. პირველ ყოვლისა ამ თავითვე აუცილებელია ანგარიშების და მოხსენებების შედგენა. გთხოვთ ამ წერილის მიღების დღიდან ორი კვირის განმავლობაში მოგვაწოდოთ მოკლე წერილობითი ანგარიში თქვენი განყოფილების მოქმედებისა. ანგარიშში უნდა იქნას: შემოსავალი, გასავალი, წევრთა რაოდენობა, სარეგისტრაციო მუშაობა, დაზარალებულთა დახმარების სხვა და სხვა მხარეები და სხ. გვაცნობეთ ადრევე, თუ რომელი საკითხი გნებავთ დაისვათ საზოგადო კრების წინაშე.

◆ **შიო მღვიმელის** სადღესასწაულო დილის გამმართველ კომისიის კრება გაიმართება დღეს, საღამოს სრულ 7 საათზე მკურნალთა საზოგადოების დარბაზში: (პუშკინის ბიბლიოთეკის თავზე). მოსაწვევი ბარათები არავის დაეგზავნება.

◆ **პანაშვიდი.** კვირას, 31 იანვარს დიდუბის ეკლესიაში, წერა-კითხვის საზოგადოების მთავარ გამგეობის თა-

# სოფელი და სოფლელები

**სოფ. მგალობლიშვილის მოთხრობებში.**

(კრიტიკული მიმოხილვა)

(გაგრძელება)

თავისებურად ლამაზია სოფელში გაცვრცვნილი შემოდგომაც. ამ დროს „ტყე-ველს ეპარება სასიკვდილო სენი: ხეებს ფოთოლი უყვითლდებათ; ველი მწვანე ხავერდიან სამოსელს იხდის; დაუნდობელი სენი აქა-იქ ხეებს ცარცვას უწყებს. ქარიშხალი ავსებს ჰაერს მოწყვეტილი ფოთლებით, რომლებსაც ათამაშებს, აპროწიალებს ცის სივრცეში. მერე კვალად ბრუნდებიან მიწაზე, და მიწაც ტვირთულობს, როგორც თვის სისხლ-ხორცს; კლავს, ალპობს, მითით ორსულდება და საგაისოთ ბადავს ახალს ცხოვრებას. ნელნელა იზარცვება ბუნება, ცვლილობს ფერს, იხდის ძვირფასს და საამო სამოსელს და იმზადებს გაპხოკილს ტყავს. მინდორი და ველი, ვენახი და ჭალა რჩებათ კაჭკაჭებს, ჭილ-ყვავებს, ფოხოლა-ყვავებს და სხვა მტაცებელ ფრინველებს. ქვემძრომნი სოროში მოექცნენ... ყოველი სოფელი ქართლისა ამ დროს წარმოადგენს უზარ-მაზარ თივის და ფუჩეჩის გროვას. ყველას კარს უდგია თივა, ფუჩეჩი, დერეფნის კარს ჩაუჩხირია ჩალა გადაფარებული ძარი, რომელიც სიმინდით გასილავებულია“. (მოთ. „ცვრევაზე“, გვ. 1—2) აქ ამოწერილ ნიმუშებიდგანაც სჩანს, რომ ავტორს ეხერხება ბუნების აღწერა, რომ ეს აღწერა ნაზი და საამოა, რომ მწერალს მხატვრული ფერადებიც ზომიერათ და მოხერხებულად აქვს ნახმარი; ეტყობა, რომ ის არ ცდილობს ხელოვნურად აბრჭყიალოს სურათი, ლაპლაპა და გაპრიალებულ ეპიტეტებით. თუმცა ჩვენის მწერლის სურათებს აკლია ხორც-შესხმულობა ვაჟას სურათებისა, სიდიადე და ბუმბერაზობა ილიას ბუნების აღწერისა და სინაზ-სინარნარე და მკვირცხლი სიფაქიზე აკაკის კალმის მოსმისა, მაგრამ ერთი ნიშანდობლივი თვისება და ღირსებაც სოფ. მგალობლიშვილის ბუნების აღწერისა ის არის, რომ მწერალი თავის აღწერას ბუნების მშვენიერებისა და ადამიანის ცხოვრების სიბინძურიდგან აზავებს და ამ კონტრასტიდგან საჭირო დასკვნაც გამოჰყავს.

მეორე დამახასიათებელი თვისება სოფ. მგალობლიშვილის ბუნების აღწერისა ის არის, რომ იგი სურათის დახატვის მასალას აზავებს არა ზოგადის ფერადებისაგან, არამედ მშობლიურ მიწა-წყლის ნაირ-ნაირ ელემენტებისაგან და ამგვარად შეზავებული მასალით ახერხებს ეროვნული სახე და ელფერი მისცეს ყოველგვარ ბუნების აღწერას. სოფ. მგალობლიშვილის მზე და მთვარე, სიო და ქარიშხალი, რიჟრაჟი და დაბინდება, წყნარი და შფოთიანი საღამო, გაზაფხული და შემოდგომა, მთა და ბარი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჩვენებურია, გაქართველებულია, უაღრესად მშობლიურია. ამ მხრით სოფ. მგალობლიშვილი გაცილებით მაღლა სდგას იმ თანამედროვე ქართველ ახალგაზდა პოეტმწერლებზე, რომლებიც ბუნების აღწერაში კოსმოპოლიტობენ, ზოგადის ფერადებით აზავებენ სურათებს და რომელთა აღწერას, მიუხედავად თავგამოდებულ ცდა-მუშაობისა, უსახობა, უელფერობა ახასიათებს. ეს სხვათა შორის, შედეგია იმ სამწუხარო მოვლენისა, რომ ისინი არ იცნობენ საქართველოს, ღრმად არ აქვთ განცდილშესწავლილი მშობლიური ბუნება, გრძნობა-გონებით არ შესისხლხორცდებიან მშობელ მხარეს, არ არიან გაჟღენთილი სამშობლოს ბუნების სუნთქვით და უხილავის სიცოცხლით. ბევრს შემთხვევაში, მათი „მზის ჰიმნი და სიმღერა“ და „მთვარის ტრფიალი“ ქართული არ არის; ის უფრო გვაგონებს ბალმონტის რუსულს მზეს და მთვარეს, ვინემ შოთას სამშობლოს მნათობებს.

სოფლის ცხოვრებას სოფ. მგალობლიშვილი, ეტყობა, კარგად იცნობს. მწერალი თავის მოთხრობებში დაკვირვებულათ უსურათებს მკითხველს სოფლის სხვა და სხვა მოვლენებს. ეს სურათები რეალურათ და ზომიერად არის დახატული: ტენდენციას მათში ადგილი არ აქვს. მართალია მწერლისაგან დახატული სურათები ბევრს შემთხვევაში მუქის და თითქმის შავი ფერის გამოდის, მაგრამ ამაში ავტორს პირადად ბრალი არ უდევს; ეს თვით აღწერილ და დახატულ სურათების შედეგია. უმწეო, დუხჭირი, სიბნელით მოცული სოფლის ცხოვრება, აბა სხვა რა სასიამოვნო და სამხიარულო მასალას მიაწოდებდა მწერლის ფანტაზიას?

სოფ. მგალობლიშვილის მხატვრულის წარმოდგენით, თუმცა ქართველი გლეხი დღე და ღამ შეუსვენებლად შრომობს, ოფლს ღვრის, მხნეობს და გამრჯელობს, მაგრამ მაინც ვერ შეუქმნია მას პირობები ადამიანური ცხოვრებისა. გავეცნოთ მის შინაურ ცხოვრებას, დაუკვირდეთ მის მდგომარეობას, მთელს მის ოჯახს. ქართველს გლეხს ბინა, მომეტებულ ნაწილად, დათვის სოროსავით მიწაში აქვს. „მანამ მგზავრი ზედ არ წააწყდება, არ დაინახავს საბძელს და შუა ცეცხლის შაქრის თავივით მაღალ ერდოს, ვერ წარმოიდგენს, თუ აქ ადამიანი ცხოვრობს. არსად ხე, არსად წყალი, მხოლოდ ცარიელ-ტარიელი ნაგავი, ნეხვის მთები, ბაკების შესაზიზღარი წუმპეები გეჩხირებათ იქიდგან თვალში“. („ღამის მეხრე ცეცო“ გვ. 1). ასეთ სადგომში, საქონელთან ერთად, ცხოვრობს გლეხი ზამთარ-ზაფხულ. ირგვლივ ჭუჭყი და უსუფთაობაა. „დერეფანში შინაური პირუტყვის ბაკის კარია გამოღებული, საიდამაც გამოდის საშინელი დამახრჩობელი სუნი, დერეფანშივე აქა-იქ, თითქო განგებ ამოუთხრიათო, საქონლის ფეხისაგან ამოჩიჩქნილია ორმოები; შიგ ჩაგუბებულია საქონლის შარდი და ქათმებისაგან ნეხვებია ჩაყრილი.

ეს ორმოები ბაყაყის ბუდის ფერია; მთელს დერეფანში ქათმებისა და გოჭებისაგან გაქექილი და მოლავებულია ნეხვი და ამ ნეხვს გაზაფხულის მწვავი მზის სხივები ადგია: ადუღებს გუბეებს, ააყროლებს ნეხვს და ადენს შესაზარს სუნს. ამ სიმყრალეს სიხარულით ეხვევიან, დასტრიალებენ ცელქი ბუზები; დაბერილან წუმპის წოვნით და ფირუზის ფერი დასდებიათ, სწორედ ის ფერი, რა ფერისაც თითონ წუმპეა“. („დედა მაია“ გვ. 4).

ადვილად წარმოსადგენია, თუ რას უნდა წარმოადგენდნენ თვით გლეხები, რომლებსაც ასეთს სადგომებში და პირობებში უხდებათ ცხოვრება! ჩაცმა-დახურვა ქართველის გლეხისა შეხამებულ-შეფერებულია მის ოჯახის მოწყობილებასთან. „მას ტანთ აცვია დაგლეჯილი, უხეირო კვირტ-ნარევი შალის ჩოხა, რომელსაც წინ კალთები სულ ერთიანად ჩამოცვეთილი აქვს და ერთის შეხედვით კაცს ეგონება არისტოკატივით ფრაკი აცვია. შარვალიც შალის აცვია ტოტებ დაგლეჯილი პაიჭებში აქვს ჩატანებული; შიშველი ფეხები ტალახით აქვს შესვრილი და ტალახი ზედ მიხმობია; ხელ-პირი დაშაშრული მზისაგან, თმა გაბურძგნული და ჩაწილული ისეთ ნაირად, რომ გეგონებათ ამ საწყლის თავს თავის დღეში სავარცხელი არ მიკარებიაო. პატარა ცხოველებს შიგ დაუბუდნიათ ამ თმაში“. („დედა მაია“, გვ. 9). სოფლელებს ახურავთ ამოცვეთილი ქუდები, რომლებშიაც ბლუჯაბლუჯა ამორჩილა თმა. („ღამის მეხრე ცეცო“, გვ. 8). მუშაობით დაღალულს-დაქანცულს საწყალს გლეხს ღამითაც მოსვენება არ აქვს. დარბაზში მისთვის აგია ჭილოფის ნაგლეჯი, იმაზე გადაფენილია გაცვეთილი ფარდაგი, დასახურავი საბანი ისეთი ჭუჭყიანი და გაჭვარტლიანებულია, რომ კაცი ვერ მიხვდება, პირველში რა ფერის უნდა ყოფილიყო. საბანს ჭუჭყის გამო ზინტლის სუნი ასდის“. (იქვე, გვ. 10).

„დამშეულს საბრალო შრომის შვილს ნაცვლად გემრიელის და ნოყიერის სასმელ-საჭმელისა, ღამე ცოლი დაუდგამს წინ ხონჩას, მოართმევს ლობიოს, რომელსაც მოელის მუშის ტლანქი ხელი და ერთის თვალის მოხედვაზე გადაყლაპავს“. („მეველე“, გვ. 14). იშვიათად, ძლიერ იშვიათად და ისიც ცხოვრების განსაკუთრებულ მომენტებში (ქორწილი, ნათლობა, დღეობა), გლეხს თუ შეხვდება ბედნიერება იგემოს თავის საყვარელი საჭმელი—ბატის ჩურჩა და ნიგვზიანი ხარშო. („ცვრევაზე“, გვ. 25). თითქმის ერთად ერთი დღეა სოფლის ცხოვრებაში, როდესაც გლეხი ივიწყებს თავის ჭირ-ვარამს და ყოველივე ღონეს ხმარობს ისიამოვნოს და ოჯახიც ასიამოვნოს—ეს არის „ბრწყინვალე“ დღეობა. ყველა ოჯახი, ყველა მლოცავი ამ დღეს სუფრას გაშლის გადააბამს ცაცხვ ქვეშ; შეიქნება უზარმაზარი, თვალ-უწვდენელი გრეხილი, ჯაჭვივით გაბმული და მიხვეულ-მოხვეული. ერთი ოჯახი მეორეს მიართმევს და მისთავაზებს ძღვენს და ჭაშნიკს; ეს ძღვნობა და ჭაშნიკობა მთელს სუფრას შემოივლის“. (გმირისეული ქალი“, გვ. 6). საზოგადოდ კი მშიერ-ტიტველია დ ადამიანურს ცხოვრებას მოკლებულია ქართველი გლეხი. აკი ამისთვისაა, რომ სხვა და სხვა სნეულებანი მუსრს ავლებს სოფლელებს.

მაგრამ ნუ გგონიათ, რომ ეს მოვლენა—სოფლის სიღატაკე-სიღარიბე შედეგი იყოს სოფლელების სიზარმაცის, სიზანტის, უენერგიობისა. სრულებით არა. ქართველი გლეხი, ს. მგალობლიშვილის დახასიათებით, „ულმრთოდ მუშაობს“, თავს არ ზოგავს, „წელში მარად მოხრუკული“ შრომობს. „გაზაფხულდება თუ არა, ამას სახლში ვერ ნახავს კაცი, ის ხდება ჭალამინდვრების შვილად: იქა სძინავს, იქა შრომობს, იქ ასველებს სისხლის ოფლით მინდვრებს და ხან იქვე ჩავა ხოლმე საფლავში. ხელის სისქედ აქვს მზის სიდამწვრე ხელ-პირზე გადაკრული; ფეხების სიდამსკდრეში ხელი გამოევლება; ფეხების წყლულს, მიწამწვარას, დაშაშვრას, ეკალ-უკალში კანჭების ხვეწას ის არ უტყდება, შეურყევლად აშურებს სამუშაოს, უშველებელის სიცხისაგან, გაუქრობელ ვაების ცეცხლისაგან ჩამწვარ-ჩაფეფრილ თვალებს აცეცებს გლეხი თავის სამუშაოს იმ იმედით, რომ იმ წელში სამად მოხრილს შრომა დაუფასდება და შიმშილით ისეც შეხუთულს სულს აღარ ამოხუთავს. („ღამის მეხრე ცეცო“, გვ. 5—6).

თუ ასეთი გამრჯელი და მშრომელია გლეხი; თუ ასეთს მუყაითობას და ენერგიას იჩენს ცხოვრებასთან ბრძოლაში, მაშ მისი ცხოვრება შედარებით უზრუნველყოფილი უნდა იყოსო, შეიძლება ვინმემ გაიფიქროს გულში. თეორეტიულად რომ ვიმსჯელოთ, ეს სწორედ ასე უნდა იყოს, მაგრამ სინამდვილე-კი სულ სხვა სურათს გვიშლის თვალწინ.

**იპ. ვართაგავა.**

(შემდეგი იქნება)

ოსნობით, ვ აჟა-ფშაველას გარდაცვალების ნახევარი წლის თავზე გარდახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი.

**ანდერძი.** გარდაიცვალა ა. გ. აივაზოვი, რომელმაც თბილისის ქალაქის თვითმართველობას ანდერძით დაუტოვა თავისი სახლი ბროსეს ქუჩაზე, 700 ათას მანეთად ღირებული. ამ სახლის შემოსავლით უნდა ალიზარდონ შემომწირველის სახელობაზე სტიპენდიანტები. ქალაქის გამგეობამ სამძიმრის დეპეშა გაუგზავნა განსვენებულის ძმის წულს ლოზანაში.

**საკვების საჭიროება.** ქალაქთა კავშირის წარმომადგენელი მარქარიანი სარაყამიშიდან დეპეშით აუწყებს კავშირის განყოფილების თავმჯდომარეს, ფქვილი სრულებით არ მოგვეპოვება და დაუყოვნებლივ გამოგვიგზავნეთო.

**ქინაქინის გაძვირება.** ოფიციალ წყაროთა ცნობების მიხედვით ქინა-ქინა ერთობ გაძვირებულა; კილოზე ფასს აუწევია, 100-დან 150 მანეთამდე.

**შეშა ტფილისის სადგურზე** გუშინ 100 ვაგონი მოვიდა და დასცალეს. დაუცლელია 130 ვაგონი ადგილის უქონლობის გამო სადგურზე. შეშის პატრონები არ მოდიან შეშის მისაღებად ალბად ხელოვნურად კრიზისის შექმნას აპირებენ ქალაქში. საჭიროა გამოირკვეს გვარები ამ შეშის მიმღებთა და გამოცხადდეს გაზეთებში. ვაგონების დუაცლელობა აფერხებს აგრეთვე რკინის გზის საქმესაც.

28 იანვარს ხევის წარმომადგენელნი: ანდრია კობაიძე, აბრამ ჩოფიკაშვილი და მიხეილ მარსაგიშვილი მეფის ნაცვლის სანახავად სასახლეში იყვნენ. მეფის ნაცვალი პირადად ვერ ინახულეს. კანცელარიის დირექტორმა მიიღო მათი თხოვნა და აღუთქვა ყველა საჭიროების დაკმაყოფილება.

**ფქვილი.** 28 იანვარს თბილისში მხოლოდ 2 ვაგონი ფქვილი მოიტანეს.

**გადმოხვეწილ სომეხთა** ობლებისათვის 6 თავშესაფარია თბილისში გახსნილი, რომლებშიაც მოთავსებულია 700 ბავშვი. სომეხთა მთავარ კომიტეტის ცნობების თანახმად, ექიმების საქმე რიგიანად ვერ ყოფილა დაყენებული თავშესაფარებში, რის გამო ბევრგვარ სენს უჩენია თავი. კომიტეტი სთხოვს ქალაქთა კავშირს იკისროს სამკურნალო დახმარების აღმოჩენა თავშესაფარებში მოთავსებულთათვის და დააარსოს მათთვის განსაკუთრებული საავადმყოფო 40—50 საწოლით.

როგორც ხმები დადის, **მილოვისა და ადელხანოვის** „ეკონომია", სხვათა შორის იმაშიაც მდგომარეობდა, რომ ადელხანოვის ქარხანაში მოთელილ ქეჩას (ВОЙЛОКЪ) ჯარისკაცთა მაუდად ასაღებდნენ, და მის სანაცვლო მაუდს გარეთ ჰყიდდნენ.

**ქუთაისი**

25 იანვარს ქალაქის საბჭომ დაადგინა, რომ ამ მოკლე ხანში ქუთაისში გახსნან ქალაქის საზოგადო ბანკი. ძირითადი თანხა ბანკისა იქნება 50,000 მანეთი, რომელიც უნდა ისესხონ პეტროგრადის საქალაქო და საერობო კრედიტიდან. ბანკის შენახვა ქალაქს წელიწადში 9,000 მანეთი დაუჯდება.

— როგორც ხმა დადის თბილისიდან ამ დღეებში გადმოიყვანენ რამდენიმე ათას დაჭრილ ჯარის კაცს.

— 26 იანვარს საკათედრო ტაძარში აკაკის გარდაცვალებიდან წლის თავზე იმერეთის ეპისკოპოსის გიორგის მიერ გადახდილ იქნა წირვა და პანაშვიდი. პანაშვიდს დაესწრო ყველა დაწესებულებათა წარმომადგენლები, პრესის თანამშრომლები და დიდძალი მლოცველი ხალხი. ამ დღეს პანაშვიდი გადახდილ იქნა აგრეთვე სხვა და სხვა საშუალო და პირველდაწყებით სასწავლებლებში.

— **ვ. გარრიკის** გადაკეთებული პიესა „მოლიპულ გზაზე" მესამედ იდგმება ქუთაისის სცენაზე დღეს, 30 იანვარს.

— კავკასიის ქარხანათა საბჭოს თავმჯდომარე სთხოვს ქუთაისის გუბერნატორს აცნობოს თუ რომელი ქარხნები არსებობს ქ. ქუთაისში და მთელ გუბერნიაში, სადაც მზადდებოდეს სხვა და სხვა საომარი მასალა. ქ. ქუთაისში და მის გუბერნიაში ასეთი ქარხნები არ არსებობს.

— 31 იანვარს და 1 თებერვალს ქუთაისის საზოგადო საკრებულოში მოხდება ამავე საკრებულოს წევრთა საზოგადო კრება. რომელზედაც გაარჩევენ გასული და მდგომარე წლების ანგარიშს და აირჩევენ ახალ მამასახლისებს.

— ქუთაისში მშვენიერი დარები დადგა. **ქალაქის ბაღში საზოგადოებამ სეირნობა დაიწყო.**

— სანოვაგის ფასები დღითი-დღე მატულობს. მეფურნეები, ყასბები და და სხვა სასურსათო სავაჭროების პატრონები ქალაქის გამგეობის მიერ დადგენილ ნიხრს აღარ ემორჩილებიან და გაჭირვებულს მცხოვრებლებს თავისებურათ აძრობენ ტყავს.

**გორი.**

სამშაბათს, 26 იანვარს, გორის საკრებულო ტაძარში ადგილობრივ სამღვდელოების თანამლოცველობით ქალაქის სამმართველოს მიერ გადახდილ იქმნა პანაშვიდი აკაკისა და ვაჟას სულის მოსახსენებლად. დაესწრო ადგილობრივი ინტელიგენცია და მოსწავლენი. მოკლე სიტყვა წარმოსთქვა მღვდელმა კავკასიძემ.

**შეცდომის გასწორება**

გუშინდელ ნომერში მოთავსებულ წერილში, „საქართველოს დახასიათება", შემდეგი შეცდომებია: **დაბეჭდილია:** რაც შეეხება **ხაზგასმულ** ადგილებს... უნდა იყოს: **ხაზგაუსმელ. დაბეჭდილია:** სხვანიც განგებ ყურადღებას არ აქცევდნენ რამაც უკვე თავისი **სასურველი** ნაყოფი მოიტანა. უნდა იყოს: **არა სასურველი. დაბეჭდილია:** რა დასამალია ან ვინ დაიჯერებს რომ **მადა** კიდევაც. უნდა იყოს: **ჰმალო** კიდევაც.

## ელ. ჩერქეზიშვილის იუბილეის გამო

ზოგიერთ პირთ, რომელთაც ბილეთები წინდაწინ დაიკვეთეს, დღემდისაც არ მოუთხოვიათ ახალი კლუბის კასაში.

კომიტეტი კიდევ ერთხელ საბოლოოდ აცხადებს, რომ მსურველები ბევრია და თუ დასახელებული პირები კვირა დილამდე თავიანთ ბილეთებს არ წაიღებენ, იგინი გაყიდულ იქნება სხვა პირებზე.

უკანასკნელი შეერთებული სხდომა ქართ. დრ. საზოგადოების გამგეობის და დღესასწაულის მომწყობ კომიტეტისა დანიშნულია კვირას, 31 იანვარს, 12 საათზე ახალი კლუბის დარბაზში.

## პასუხად „თანამედროვე აზრს"

ვგონებთ, საკმარი უნდა იყოს ყოველ ორგანოსათვის და კერძო ადამიანისათვისაც, როდესაც თავზე კაკალს ამტვრევენ მის ნამდვილად არსებულ საქმეებისა და სიტყვებისათვის და არა საკადრისია, როდესაც ცილს ვისმე დასწამებენ და ამ ცილისათვისაც შენ თვითონვე ემიები. ეს უკვე ლანძღვაა, რომელიც არ შეეფერება დარბაისელ პრესას. თავდაპირველად საჭიროა სიმართლე და ჩვენც აღვნიშნეთ, რომ „ჰორიზონის" ის სიტყვები, საცა იგი აღწერს სოციალ-დემოკრატების მუშაობის პირობებს—სინამდვილეა, მაგრამ სიძნელე მუშაობის პირობებისა სრულებით არა ნიშნავს პატრიოტიზმს; პირიქით, ეს რომ გვეთქვა ხომ ლანძღვად მიიღებდა „თანამედროვე აზრი". „ბ-ნ რ. გ—ის წარმოდგენით ყველა სომეხი ქართველის მტერია და რაღა გასაკვირველია, რომ მან სომხური გაზეთის მართალი სიტყვაც ჩვენ პასიუხში ჩაგვიწეროს და „დანაშაულობის" დამამტკიცებელ საბუთად წამოგვიყენოს".

შეუძლებელია ერთ ფრაზაში ადამიანმა მეტი შეცდომა ჩაიდინოს, ვიდრე აქ არის: რაღა თქმა უნდა „ჰორიზონის" ხელმძღვანელთ, ჩვენ, ქართველების მეგობრებად ვერ ჩავთვლით და, წარმოიდგინეთ ჩვენი გაკადნიერება,—ქართველ სოც.-დემ. მეგობრებადაც კი ვერ ჩავთვლით. რომ მართალი სთქვა „ჰორიზონმა" თქვენი მუშაობის **პირობებზედ**—ესეც აღვნიშნეთ, მაგრამ თავს ნუ იკატუნებს „თანამედროვე აზრი", ვითომ **დანაშაულობად** ეს მართალი სიტყვა წამოუყენეთ. **დანაშაულობად ის ფაქტები წამოუყენეთ და ის მოქმედება,** რომლისთვისაც სომხები აქებენ და **მართალ** სიტყვასაც კი ეუბნებიან, და არა თვით ეს სიტყვები. რომ ეს ასეა, სჩანს თვით „თანამედროვე აზრის" წერილიდანაც, საცა განმეორებულია ყველა ჩვენი „ბრალდება".

„მათ (ნაციონალისტებმა) დაიჯერეს და სინამდვილედ მიიღეს ფედერალისტების მიერ გავრცელებული **ყოვლად უსაბუთო აზრი,** რომელიც მემარჯვენეთა გონებრივი სალაროდან იყო ამოღებული. ეს აზრი იმაში მდგომარეობდა, **თითქო ქართული სოციალ-დემოკრატია ქართველი ერის მტერი იყოს"** და სხვ.

არა, ეს ჩვენ არასოდეს არ დაგვიჯერებია და არა ერთხელ გვითქვამს „კლდეშიაც" და „საქართველოშიაც", რომ სოც.-დემოკრატიამ უფრო მეტი პატრიოტული საქმე გააკეთა, ვიდრე სხვამ, ეს აღნიშნული იყო თვით იმ წერილშიაც, რომელზედაც დღეს გვეკამათება „თანამედროვე აზრი"; მხოლოდ ჩვენ ვამბობდით, რომ ეს ხდებოდა ან მისი სურვილის წინააღმდეგ, ან შეუგნებლად: თვით **სოც.-დემ. არსებობამ გამოაღვიძა ეროვნული გრძნობა და გონება ხალხში, რადგან გამოფხიზლებულმა მასამ თვითონ იპოვა ბუნებრივი ეროვნული გზა.** აი რას ვამბობდით ჩვენ. მაგრამ სოც. დემოკრატებს აქვთ ზოგიერთი „ტაქტიკური" მოქმედებანი და არა ტაქტით სავსე სიტყვებიც, რომელთაც იხვევს ხელზედ მტერიც და მოყვარეც. გიჟი უნდა იყოს ადამიანი რომ სოც.-დემოკრატიას დააბრალოს: თქვენ **განზრახ** ქართველი ერის მტრები და მოღალატენი ხართო, მაგრამ როდესაც შეუგნებლად მტრის იერიშებს ხელს უწყობთ—ეს განა ნაკლები დასაგმობია? მაგალითად თუნდა სახ. სათათბიროში არჩევნები ავიღოთ, რომლის გასამართლებლად თქვენ უხერხულ მდგომარეობაში ვარდებით და ტყუილსაც არ ერიდებით: **ზოგიერთმა** სომხის ბურჟუამ ჩხეიძეს მისცა ხმა და **ზოგიერთმაც** ანდრონიკაშვილსაო. ეს აბა რა საკადრისი სიტყვაა. ქვეყანამ იცის და თვით რ. დ. ჩვენზე უკეთესად, რომ მათ სულ ექვსიოდე ხმა ჰქონდათ **საკუთარი** და დანარჩენი ხმები, რომლებითაც გავიდა ჩხეიძე— იყო დოლუხანოვებისა, ბაბოვებისა და სხვათა მაგვარებისა. ამ **ფაქტს** ვერ გააქარწყლებს ის „სიტყვიერება", რომ **„ჩხეიძის კანდიდატურას იცავდა ქართველი დემოკრატია, გლეხთა, ქალაქთა და მუშათა ამომრჩევლები მას ემხრობოდნენ. და აი, ქართველი დემოკრატიის კანდიდატს ხმა მისცა სომხის ამომრჩეველთა უმეტესობამ",** აქედან რა დასკვნა შეიძლება გამოვიყვანოთ? ან სომეხ ამომრჩეველთა უმეტესობა ქართველი დემოკრატიის **მომხრე** ყოფილა ან **თვითონაც** დემოკრატიული იქნებოდა; მაგრამ ვინ არ იცის, რომ ერთიც და მეორეც პირდა-პირ მოუხერხებელი ტყუილი იქნებოდა, გვეთქვა. ამ **ფაქტს** ვერ უშველის ვერც „მეცნიერული გაშუქება" და ვერც ებრაელ-პოლონელების მაგალითი. სომხის ბურჟუაზია, რომელიც, ცხადია, სოც.-დემ. წარმოდგენით ისეთივე **მჩაგვრელია,** როგორც ყოველგან, რა მიზეზით მისცემდა მხარს **ჩაგრულთა** კანდიდატს, თუ კი სხვა რამ მიზანი არ ამოქმედებდა და მოდით ვიქნებით ისეთი გულუბრყვილონი, ვითომ ეს **სხვა** მიზანი ქართული ეროვნული საკითხის გარეშე იყოს. ხომ არცა ხართ ასეთი გულუბრყვილონი და რაღად აწუხებთ ხალხს უბრალო სიტყვების დახარჯვით... მაგალითად: „ცნობილია რომ სოციალისტებს, როგორც არა ნაციონალისტებს, დაჩაგრული და დაბრიყვებული ერების მასა ყველგან მხარს უჭერს არჩევნებში, ვინაიდან ისინი ყველა დაჩაგრულის დამცველები და მეგობრები არიან"... მაშ ხატისოვ-ბაბოვ-დოლუხანოვები, რომელნიც სიხარულის ცხემლებით შეხვდნენ ჩხეიძეს არჩევას **დაჩაგრული და დაბრიყვებული** მასაა, ან მისი წარმომადგენელი, რომ სოციალისტს დაუჭირეს მხარი? რით უნდა იყოს ღარიბი ადამიანი, რომ ასეთი ზღაპარი დაიჯეროს—თქვენ თვითონ გამოიცანით... ადვილი გამოსაცნობიც არის, ვინაიდან არც ისეთი გულუბრყვილონი ხართ, „comme tu en fais l'air".

რაც შეეხება უკანასკნელ ტირადას, რომ „ქართველი ხალხის და ერის მოღალატე, მისი კულტურული და ნივთიერი წინსვლის მტერი ის არის, ვინც იცავს ძველი ცხოვრების ნაშთებსაო", გადმოსროლილი ჩვენკენ, სწორე გითხრათ, გვახარებს კიდევაც, რადგანაც გვისაყვედურებენ, მაშასადამე ნაკლებ სიყვარულს ქართველი ერისადმი და ეს მართალიც არის: განა ყველა ჩვენ თანამოაზრეს რომ საკმაოდ უყვარდეს თავისი ერი და სამშობლო და ამისთვის თავგანწირვას არ ერიდებოდეს —კიდევ-ღა შესაძლებელი გახდებოდა ქართველის ისეთი გათახსირება, როგორიც ეხლა ხდება ყოველის მხრიდან. გვიხარიან ისიც, რომ ს.-დ. გვეჯიბრებიან ქართველი ერის სიყვარულში; მაგრამ ძველი ცხოვრების ნაშთების დაცვას-კი სულ ტყუილად გვიგონებთ და თქვენ მიერ მოყვანილი მაგალითები „სუსტია" სიმართლის მხრივა: დროებით ვალდებულობის გადაგდებას ჩვენ კი არა, ალბად თქვენი ფანტაზია თუ ებრძოდა და რაც შეეხება ხიზნობის მოსპობას—ესეც თქვენი გამოგონებაა. ჩვენ **ხიზნობის მოსპობას** კი არ ვებრძოდით, ჩვენ ვებრძოდით საკითხის ისეთ გადაწყვეტას, რომელიც **ეროვნულად** გვცემდა ზურგში, თორემ მისი მოსპობა, როგორც უაღრესად მავნე მოვლენისა, ჩვენთვის მეტად სასურველი იქნებოდა დღესაც. ვინც ძალად თვალს იბრმავებს და ამ განსხვავებას არა ხედავს—იმასთან ლოღიკით რას გააწყობს ადამიანი. და ჩვენი მოკლე, პირუთვნელი და ყოველგვარ მიკიბ-მოკიბვას მოკლებული „განმარტება" სწორედ ეს არის: ხიზანთა ინსტიტუტის მოსპობა—ჩვენ არასოდეს არ ვებრძოდით, პირ-იქით, რომ შესაძლებელი ყოფილიყო, ერთ დღეს მოვსპობდით ამ დახავსებულ მოვლენას, მაგრამ როდესაც ამ საკითხში უცნაურად შეხმატკბილებულნი გამოვიდნენ სოც.-დემოკრატია, სოც.-ფედერალისტები და ბიუროკრატია, ეს დაუძინებელი მტრები, არ შეიძლება განმარტება თქვენ მოგცეთ, ბატონებო, აქ მაშ ბიუროკრატიაც დაჩაგრულთა და დაბრიყვებულთა მოსარჩლე გამოვიდა, როგორც სომხის ბურჟუაზია არჩევნებში? არ გეყოთ განა ამდენი თვალთმაქცობა უცხოელებისა ჩვენი ეროვნული იდეის წინაამდეგ, რომ თქვენც თვალთმაქცობთ და ვითომ არა ხედავთ ამას.

**რ. გ.**

## ჩვენი დაუდევრობა

ქუთათურმა გაზეთებმა შავი ასოებით გვაცნობეს, რომ აჭარაში, გარდახვეწილ ქართველ მაჰმადიანთა მამულები და სახლ-კარი ნადგამობა, იჯარით მისცეს შემოხიზნულებს (სომხებს). ეგევე სამწუხარო ამბავი თბილისის ქართულ გაზეთებში („საქართველოსა" და „სახალხოში") გაზეთის დაფანჯრულ (ცარიელ) ადგილებში იყო მოხსენებული და დახელოვნებული და დღევანდელი მწერლობის მდგომარეობის მცოდნე მკითხველი, გაზეთის ამ თეთრ ადგილსაც დაინახავდა, თუ რა უნდოდათ გაზეთებს ეთქვათ. აჭარაში მიწების სხვებზე იჯარით გაცემა ახალი ამბავი არ არის. უპატრონოს დაპატრონება და პარტახათ დარჩენილის „მოვლა" შარშანვე დაიწყეს... აჭარლების პროცესის მოწამე ოლქის უფროსმა ტომით რუსმა (ნიკოლენკომ) სასამართლოში აღნიშნა, თუ რა სურდათ აჭარლების მეზობელ (ბათომში ჩასახლებულ) ქრისტიანებს. იმან ხაზ გასმით სთქვა: გარდახვეწილ აჭარლების მიწას ითხოვდნენ და მათ გარდახვეწასაც ამიტომ ხელს უწყობდენ და უდანაშაულო პირები მოღალატეებათ გამოჰყავდათო. ნიკოლენკოს განცხადება დღეს ნათელი გახდა: აჭარა, თუმც დროებით, მაგრამ მაინც მათს „მოკეთეებს" დაუნარჩუნეს. ამ საქმის მოწესრიგება მინდობილი ჰქონდა სახელმწიფო ქონებათა ქუთაისის გუბერნიის სამმართველოს. ხსენებულ უწყებაში მსახურებენ ქართველი აგრონომები და მოხელეები, რომლებსაც ზოგს უბადლო მამულიშვილათაც კი მოაქვს თავი. ამათვე ეხმარებოდა ბათუმის ოლქის უფროსი ქართველი აგრონომი. მიწების მიზომვა ხდებოდა ბათომის ქართველ „მოქალაქეთა" ცხვირ წინ, განცხადებაც კი იყო მოთავსებული ბათომის შავრაზმელთა გაზეთ „Бат. Вѣсти"-ში. სად იყვნენ, ეს ბატონები რა ჰქნეს, რა იღონეს? არაფერი! შეიძლებოდა მამულები, გაშენებული ლიმონ-ფორთოხალით, ზეთისხილით და სხვა მდიდარი კულტურით, იჯარით აეღო ან მებაღეთა ამხანაგობას ან ბათომის სამეურნეო საზოგადოებას. ილიასეული მამულის შეძენასაც ფიქრობდენ კერძო პირები, მაგრამ ამას წინააღუდგა ქართული სამეურნეო საზოგადოება და უპირატესობაც მას მისცეს. ასევე შეიძლებოდა აქაც. და თუ ეს არ მოხერხდებოდა, მაშინ ვალდებული ვიყავით ყოველ ჯვარედინ გზაზე გვეყვირა, შეგვეკრიფა ქართველი მებაღეები, დაგვერწმუნებინა ისინი, გვერჩია მათთვის მამულების იჯარით აღება და ხელიც შეგვეწყო. განა ცოტა იმერელი მებაღეებია ქართლ-კახეთში გაფანტული. ნამდვილად ვიცი, რომ ბევრს გურულს უნდოდა, აჭარაში მამულები იჯარით აეღო, მაგრამ მოერიდნენ აჭარლებს, ითაკილეს, ჩვენ რომ შევცდილიყავით, დაგვეწმუნებინა ეს პირები, რომ ეს დასაძრახი არ არის, მაშინ ზოგს გურულები აიღებდა, მოუვლიდა და პატრონს თუ მოსვლა ეღირსებოდა, გაუცარცველს დაახვედრებდა, ყოველ შემთხვევაში ჩარევითა და მეტოქეობით საიჯარო ფასს მაინც გავადიდებდით და ერთს ყველაფრით მოშენებულ სოფელს ხუთ თუმნად ხელში არავის ჩაუგდებდით... გვძინავს და ვინ უწყის „როდის გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება".

**აჭარელი მეურნე.**

## წკეპლები

**ტელეფონთან.**

— წკრრრ!

— საიდან ლაპარაკობთ, ვინა ბრძანდებით?

— მე... მე... ფუ, დასწყევლოს ღმერთმა! ისე ვარ აღელვებული, რომ, რომ!..

— მაინც ვინა ბრძანდებით?

— კახეთის რკინის გზა...

— რაო, კახეთის რკინის გზაო?

— არა, ბატონო, კახეთის რკინის გზა კი არა, მე გახლავართ გაწამებული ტანჯულ-წვალებული კახეთის რკინის გზის მოხელეებისაგან.

— ხმაზედ გიცანით!.. განაგრძეთ რა იყო მოკლედ მიამბეთ.

— რაღა რა იყო დილით ნათლუხის სადგურზედ ოცზედ მეტი დროგი მივაყენე უნდა ბოჭკები მიმეღო კახეთიდამ მოსული. ვუჩვენე „დუბლიკატი" სტოროჟს, სტოროჟმა მიმითითა უფროს სტოროჟზედ, უფროსმა სტოროჟმა მიმითითა უნცროს კანტორშჩიკზედ, უნცროს კანტორშჩიკმა გამგზავნა უფროს კანტორშჩიკთან, უფროსმა კანტორშჩიკმა მიმითითა ერთ კარებზედ—შევაღე შეველი. დეპეშების ოთახი აღმოჩნდა დავყევი თავიდამ ერთმა მეორეზედ მიჩვენა მეორემ მესამეზედ, მესამემ მეოთხეზედ მხოლოდ მეექვსემ დაბალის და წყნარის რიხიან და მრისხანე ხმით მიპასუხა: ეგ ჩემი საქმე არ არის სადგურის უფროსს მიმართეთო. ვსდგევარ სადგურის უფროსის წინ მოწიწებით ისე როგორც იუდა ქრისტეს წინაშე!... მთელი ერთი საათი და არ ვიცი იმ მამაცხონებულს თავს ბრუ მაინც არ დეესხა, რომ სულ რაღაც დავთარს ჩასცქეროდა და ჩემი მისვლა და ჩემი თავს დგომა ვერ შენიშნა. ბოლოს ვეღირსე მისი ბრწყინვალე თვალების მომართვას ჩემდამი.

— რა გნებავთ?

— ღვინო მაქვს გამოსატანი.

— კასირს მიმართე, რა ჩემი საქმეა?! გთხოვთ მმე ნუ მაწუხებთ.

— კასირი სად გახლავთ?

— მოითმინეთ და მოვა.

— აგერ პირველი საათი სრულდება დილას აქეთ ველი.

— რა უყოთ, რომ ელით წუხელის ალბად გვიან დაიძინა ან კლუბში იქნებოდა ან წვეულება ექნებოდა თქვენი გულისთვის ძილს ხომ არ გაიფრთხობს.

საღამოთი ძლივს ვეღირსე ჩემი საქონლის მიღებას.

უცბად მოისმა კვლავ ტელეფონის ხმა.

— წრრრრ...

— ვინა ბრძანდებით?

— არავინ! მხოლოდ კარგი იქნებოდა, რომ ნათლუხის სადგურზედ წარამარათ ტელეგრაფისტები „პლატფორმაზედ" არ დასეირნობდნენ და თავის სამსახურს ასრულებდნენ წესიერად ხან და ხან ხოლმე გზა ხსნილია შეუძლიან ამერ კავკას. ნათლუხისკენ გაემართოს მატარებელი და ტელეფონის ყურის მგდებელი როდესაც მოისურვებს მაშინ გაისტუმრებს მატარებელს.

ამ დროს მოისმა საშინელი წკრიალი ტელეფონისა.

— წრრრრრ....

— ვინა ბრძანდები ბოხის და რიხიანის ხმით იძახის.

— მე ვარ უფალი ღმერთი თქვენი! მესმა ყოველი ესე და მოვისწრაფვი განკითხვად თქვენდა!

**ვარდ-ბულბულიანი.**

**„ჰორიზონი":** ვარდმა გასძახა ბულბულსა,
ეგ ბაღი დამიცალეო!

**სახ. ფურც.** შენა ხარ, ჩემო დობილო,
მოდი შენ გენაცვალეო,
შენის ლოდინით, მერწმუნე,
ცრემლებად დავიცალეო.
მიიღე ჩვენი, რაცა გვაქვს,
ბორჩალო ახალ-ციხეო,
თბილისიც აბა რად გვინდა,
ბუღი სდგას, მავნე სიცხეო.
ჩვენ ის გვეყოფა, თუ მთებში
გვარგუნებთ იალბუზსაო,
და პოლიტიკურს სფეროში
დაგვაჰჭერინებთ ბუზსაო.
მაშ მოდი, ჩემო დობილო,
ყოვლი შენ ინაცვალეო,
მოდი, ნუღარ მკლავ, ცრემლები
ღიმილად შემიცვალეო.

**კრაზანა**

## წერილი გორიდან

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გორის განყოფილების გამგეობამ წევრთა და შემომწირველთა 1915 წლის ანგარიში დაურიგა და წლიურ საზოგადო კრებაზე მიიწვია ქალაქის სამართველოს დარბაზში, რომელიც დანიშნულია 31 იანვრისთვის 11 საათზე შემდეგი კითხვების განსახილველად:

1. წლიური ანგარიში 1915 წ. 2. 1916 წლის სავარაუდო ანგარიში. 3. სკოლის გახსნა. 4. დრამატიულ წრის დაარსება, 5. გამგეობის წევრთა კანდიდატების არჩევა.

1915 წლის ანგარიშიდან სჩანს შემდეგი:

**გასავალი:**

| | |
|---|---|
| 1) ნ. ი. ლომოურის ფონდიდგან . . . . . . . | 0—0 |
| 2) სამკითხველო-ბიბლიოთეკის შენახვა. . . . . | 574—85 |
| 3) ინვენტარის შეძენა. . | 25—00 |
| 4) გათბობა და სხვა ხარჯები . . . . . . . . | 138—52 |
| ს უ ლ . . | 738—37 |

ამ რიგად 1916 წლის 1 იანვრისთვის ქ. შ. წ.-კ. გ. ს. გორის განყოფილების გამგეობას დარჩენია ნაღდი ფული 1265 მან. 69 კაპ.

სულ ჰყოლია 81 წევრი.

**შემოსავალი:**

| | |
|---|---|
| 1) ნ. ი. ლომოურის სახელობის ფონდი: | |
| ა) ერთდროული შემოწირულება | 741 მ. 57 კ. |
| ბ) ყოველთვიური პროცენტი სხვა და სხვა პირთაგან | 310 მ. 48 კ. |
| 2) საწევრო ფული . | 297 მ. — |
| 3) ქალაქის დახმარება | 150 მ. — |
| 4) ყულაბებიდგან. . | 175 მ. 87 კ. |
| 5) წარმოდგენებიდან და ლექციებიდან. | 111 მ. 05 კ. |
| 6) შემოწირულება . | 94 მ. 45 კ. |
| 7) სარგებელი შენახული ფულისა. | 8 მ. 97 კ. |
| 8) სხვა და სხვა . . | 40 მ. 46 კ. |
| სულ | 1929 მ. 85 კ. |
| ნაშთი წარსული წლისა | 74 მ. 21 კ. |
| სულ | 2004 მ. 06 კ. |

## დედა ენა

**პირველი ნაწილი ქართული ანბანი, შესწორებული გამოცემა მაჰმადიან ქართველთათვის. შედგენილი იაკობ გოგებაშვილის მიერ.**

(ბიბლიოგრაფიის მაგიერი)

თუმცა გვიან, მაგრამ ვეღირსეთ დედა ენის პირველ ნაწილს, ქართველ მაჰმადიანთათვის საგანგებოდ შესწორებულს და გამოცემულს. ასეთი სახელმძღვანელოს საჭიროება კაი ხანია იყო, მაგრამ ქართველური დაუდევრობის გამო დღემდე მისი შედგენა არ მოხერხდა. დღეს, როგორც ვიცით, აჭარა-ქობულეთში ქართული საქველმოქმედო საზოგადოება სკოლებს აარსებს და ეს პირველ საჭიროების წიგნიც საზოგადოების დავალებით შეუსწორებიათ.

„დედა ენა" კარგსა და სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს. სიმართლე რომ ვთქვათ, ეს შესწორებული კი არა ახლად არის შედგენილი... შესწორებული „დედა ენა" (ნაწილი პირველი) ბევრად უფრო ოსტატურად არის შედგენილი და მასში გაცილებით მეტი მასალაა, ვიდრე წინანდელ დედანში. ამ სახელმძღვანელოს გამოცემა ნათლად ამტკიცებს, თუ რამდენი ნაკლი აქვს და რამდენ შესწორებას საჭიროებს „დედა ენის" პირველი წიგნი. სასურველია ქართველი ქრისტიანი ყმაწვილობაც დროზე ეღირსებოდეს შესწორებულ „დედა ენას", როგორც პირველ წიგნს ისე მეორეს.

ზედმეტი არ იქნება მოკლედ მოვიხსენოთ, თუ რამ გამოიწვია ქართველ მაჰმადიანთათვის საგანგებოდ „დედაენის" შედგენა. აჭარელ-ქობულეთელები (მეტადრე აჭარლები) ქართული ენის კარგი მცოდნენი არიან, სალიტერატურო ქართული ენა კარგად ესმით, მაგრამ სარწმუნოებრივი ფანატიზმის მეოხებით ქართველი მაჰმადიანები ჩვენებურ წიგნებს გაურბოდენ, რადგან ამ წიგნებში ისეთს სიტყვებსა და სურათებს შეხვდებოდნენ, რაც მათ რწმენას, მათის აზრით, შეელახავდა. დედა ენა კი ამისაგან თავისუფალი არ არის, ამიტომ ხშირად გვინახავს მოწაფე ქართველ მაჰმადიანის მიერ წიგნში ამოფხეკილ-მოთხუპნული მისთვის არა სასიამოვნო სიტყვები და სურათები.

ახლად შესწორებული დედა ენა ამისაგან თავისუფალია და გარდა ამისა შიგ ჩართულია ისეთი სიტყვები, რომლებიც აჭარელ-ქობულეთელი მოსწავლე ახალგაზრდობისათვის ნაცნო-

ბია, მაგალითად მაჰმადიან ქალ-ვაჟების სახელები, სოფლებ-მდინარეები და სხვა. ეგ კი, ცხადია, კითხვის შესწავლას დააჩქარებს და მისი ნაცნობი სიტყვების გაგონება ყმაწვილებს წაახალისებს. ნაცნობი სიტყვები კი ახალ დედა ენაში საკმაოდ არის, მაგრამ სურათები ადგილობრივი ცხოვრებიდან თითქმის სულ არ არის. ეს კი არ არის სასიამოვნო. მაგ. გვერდი 31 ასო ჟ „ვაჟი ზის და სწერს“ ევროპიულ პარტას ევროპიელი ვაჟი მოსჯდომია და სწერს. განა არ აჯობებდა ამის მაგიერ აჭარელი ყმაწვილი რომ დაეხატათ? მაგრამ, ასე თუ ისე, ამ წიგნს ღირსება უფრო მეტი აქვს ვიდრე ნაკლი და მისი გამოსვლა ვიმეორებ ძლიერ სასიამოვნოა.

სასურველია შემდეგ გამოცემაში ზოგიერთა წვრილმანი ნაკლი შეცდომა აღარ განმეორდეს. ამიტომაც გავკადნიერდები და აღვნიშნავ ზოგიერთ მათგანს:

წიგნში დაბეჭდილია პატარა მოთხრობა **„სანდროს ლოცვა“** (გვერდი 31). შემდეგი შინაარსის:

(მოგვყავს სიტყვა სიტყვით)

„პატარა სანდრო ობოლი იყო მამით. დედაც ძლიერ ავათ გაუხდა. მწარედ დაღონდა სანდრო, შეევედრა ღმერთსა: მოწყალეო უფალო მომირჩინე საყვარელი დედა, და მის მაგირვად თუნდა მე გამხადე ავადაო. შეუსრულდა ნატვრა სანდროს და მოურჩა დედა“. აქ დახატულია ავადმყოფ დედის სარეცელთან დაჩოქილი სანდრო. იქვე სამფეხა სკამზე დგას ექიმის მიერ გამოწერილი წამალი. ამ მოთხრობის ნაკლი ის არის, რომ ამ სურათს ჩვენს მოძმე მაჰმადიანებში შეუძლიან სა წმუნოებრივი ეჭვი აღძრას. მართალია მაჰმადიანიც ლოცულობს, მაგრამ ეგ საკითხი ყველაზე მეტის სიფრთხილით არის შესახები. მეორეც—მოთხრობაც ყალბია. მუხლ მოდრეკილ ლოცვას აჯობებდა მუხლმარდად აფთიექში მირბენა და წამლის მოტანა. ეს მოთხრობა და სურათი სულ რომ არ იყოს ბევრად აჯობებდა.

**ჯემალ და ჯევდეთ.** (გვერდი 30).

„ორი ყმაწვილი ჯემალ და ჯევდეთ ჭოროხის პირად თამაშობდნენ. ჯემალს ფეხი დაუსხლტა და მდინარეში ჩავარდა. ცურვა არ იცოდა, ყვირილი მორთო—მიშველეთო, ჯევდეთმა გრძელი ჯოხი გაუწოდა, ნაპირს გამოიყვანა და ამხანაგი დარჩობას გადაარჩინა“.

ვისაც ჭოროხი არ უნახავს ის ამ ამბავს დაიჯერებს, მაგრამ ვისაც კი გიჟი ჭოროხი უნახავს მისთვის წარმოუდგენელია იმის დაჯერება და არც შეიძლება ეს ასე მოხდეს. ჭოროხი ისეთი სწრაფი მდინარეა, რომ დიდი [illegible]

**პატარა მეგრელი** (გვერდ. 26). [illegible]

22 გვერდზე (მოთხრობა ბულბული) [illegible]

[illegible]

ბოს ეძახიან და არა ყველა იმას რაც მაგარი და ძნელად გასაფცქვნელია, როგორც ეს დედა ენაშია ახსნილი.

ერთი სიტყვით სკოლაში სახელმძღვანელო წიგნი ყოველ გვარ საეჭვო სიტყვებისა და შემეცნებისაგან სრულიად თავისუფალი უნდა იყოს და მასში საეჭვო და სადავო არაფერი უნდა მოიპოვებოდეს. დარწმუნებული ვართ მეორე გამოცემა ამ მცირე ნაკლისაგან თავისუფალი იქნება.

**ქერა.**

## პროვინციის ქრონიკა

**ქუთაისი.**

24 იანვარს ქალაქის თეატრში ქუთაისის „ქალთა საზოგადოებამ“ გამართა სალიტერატურო დილა.

**სად. სუმბათოვო.**

წელს ბორჯომის ხეობაში ზამთარი ჩვეულებრივზე სასტიკია, ყინვა 9 გრადუსამდი აღწევს.

**კაცხი** (შორ. მაზრა).

კოოპერატივი სიმინდს ამ მოკლე ხანში მოელის.

**ს. ბახვი** (ოზ. მაზ.)

ხალხი ცხოვრების გაძვირებამ ძლიერ გაჭირვებაში ჩააგდო, ვაჭრების რავ-გასულობას საზღვარი არა აქვს, განიზრახეს დაარსონ მომხმარებელი საზოგადოება.

**ს. ჯუმათი** (გურია).

ამ სოფელში იქნება 240 კომლამდე მცხოვრებნი. გურიაში ეს ყველაზე პატარა საზოგადოებაა. მიუხედავათ ასეთი სიმცირისა აქ არსებობს ორი ორ-კლასიანი და ერთი ერთ-კლასიანი სამინისტრო სასწავლებლები, სადაც 400-დე მოწაფე სწავლობს. არსებობს სამკითხველო, ორი საკრედიტო ამხანაგობა, აფთიაქი კოოპერატიული მაღაზია და სხვა. აქაური ხალხი ომმა ძლიერ შეაწუხა, კულტურული მუშაობა შეფერხდა. „თ. ა.“

**ლანჩხუთი.**

ლანჩხუთში შიმშილობამ საკმარისად იჩინა თავი. ხალხი ძლიერ შეწუხებულია.

**ქუთაისი.**

ქუთაისის საზოგადოებამ „კოოპერაცია“-მ მიიღო ერთი ვაგონი შაქარი და გირვანქას 23 კაპ. ჰყიდის.

**ს. ნინოწმინდა** (გარე-კახეთი).

სოფ. ნინოწმინდაში საშინლად არის გავრცელებული წითელა.

ისეთი დარები დაიჭირა აქეთ და ისე დათბა, რომ ნუშ[illegible] კი ჰყავის.

**ს. საგარეჯო.**

ს. საგარეჯოში ამას წინეთ დიმიტ. გულისაშვილის თაოსნობით, და მსახიობის შაქრო საფაროვის მონაწილე- [illegible]

**ქიზიყი.**

[illegible]

## წერილი აკეთიდან

(გურია)

[illegible]

გამოწერილს წამალს. ყოველივე ზედმეტი, გვალვა იქნება თუ გამუდმებული წვიმები, გლეხის ნამუშევარს სავსებით აქარწყლებს და ანადგურებს. და თუ როგორ დაგვაჯილდოვა ბუნებამ ამ სამი წლის განმავლობაში, ეს სჩანს იმ გარემოებიდან, რომ დღეს ჩვენი საზოგადოება ყველაზე მეტად დავალიანებულია მთავრობის სასურსათო თანხით. თმა ყალყზე გიდგება როდესაც აქაურ ბედის მომდურავ გლეხს შეხვდები.

— 150 ფუთი სიმინდი მმართებს მთავრობისა, მაქვს კიდევ კერძო ვალი მეზობლებისა, სულ 13 სული ვართ ერთ ოჯახში, 11 შვილი და ორიც ცოლქმარნი. ამ ბედნიერებასთან ველოდები კიდევ ომში წასვლას, როგორც პირველ ხარისხის სათადარიგო ჯარისკაცი.

— მარტო თქვენა გმართებთ ამოდენა ვალი ხაზინისა, თუ საერთოდ ყველა ასეა დავალიანებული?—შევეკითხე სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ მეზობელს.

თურმე ნუ იტყვით მთელი საზოგადოება ასე ყოფილა დავალიანებული.

აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ მთელი სოფელი სამარისებურ მყუდროებას მოუცავს. იშვიათად შეხვდებით მამაკაცს. სახლში დარჩენილან ძალზედ მოხუცნი, ქალები და ბავშვები. ახალ-გაზდობის უმრავლესობა ომშია წასული, მცირე ნაწილს სილატაკისა და ათასგვარ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მიუტოვებია სახლკარი და გახიზნულა ბათომის მიდამოეში სამხედრო გზებზე სამუშაოდ.

სიმშილობა უკვე დაიწყო. ადგილობრივ სიმინდი არ მოიპოვება, და თუ ვისმე აღმოაჩნდა, თავის უსაზღვრო მადის მიხედვით აფასებს. მიმდინარე წლისთვის ჩვენს საზოგადოებას საიმპერიო სასურსათო თანხიდან დაკვეთილი ჰქონდა სესხი, მაგრამ უარი მივიღეთ, აქეთმა დააგვიანა სესხის თხოვნაო. რას, ან ვის უნდა მიეწეროს ეს დაგვიანება? სიის შემდგენელთა უმოქმედობას, თუ ბოროტმოქმედებას?

და ვინც ჰხედავს ჩვენი სოფლის ასეთ უმწეო მდგომარეობას, ვინც ჰხედავს გაძვალტყავებულ გლეხს, სამარის კარამდე მისულს, ამ კაცობრიობის მასაზრდოებელ ავანგარდის ქრონიკულ სიმშილით სიკვდილს, არა გვგონია ამის მნახველს არ აუტოკდეს გრძნობები კაცთ მოყვარეობისა, ზნეობისა და დაიშუროს მათთვის ნუგეში და დახმარება.

მაგრამ რას ვხედავთ ნაცვლად ამისა?

დაჩაგრულის უფრო დაჩაგვრა, ცემა-ტყეპა, სისტემატიური ძარცვა, მათრახი და პანღური.

მერე ვინ არიან ეს ვაჟბატონები, დამსჯელ ექსპედიციის როლში გამოსულები? პოლიციის მოხელეები, ყაჩაღები? არა, მკითხველო, ესენი გახლავან ადგილობრივი „ზუბრები“, ჩინოვნიკ-პენსიონერები. ესენი ბრძანდებიან იმ ჯურის ადამიანები, რომლებიც ნეტარხსენებულ ძლევა-მოსილ მოძრაობამ გლეხთან გააერთიანა, გააერთიანა გარეგნული ტყავით, გულით კი ისევ ძველ მტრებად დასტოვა. ცხოვრება ისევ ძველ კალაპოტში ჩადგა და რეაქციის დარაზმვასთან ერთად ასეთი წრეებიც დაირაზმა. მოიგონეს ძველი ხელობა და მათრახითა და პანღურით დაიწყეს გლეხებზე თარეში.

ნუ თუ დღესაც შესაძლებელია გლეხის გაპანღურება, საწველ ფურად გახდა? დიახ, შესაძლებელი ყოფილა, პატივცემულო მკითხველო, და ჩვენც გავკადნიერდებით და ვამცნობთ მკითხველ საზოგადოებას, რომ ყოველივე ზემოხსენებული ბოროტ-მოქმედებანი ხდება ქართველთა მოწინავე საზოგადოებაში კარგად ცნობილ, ბ-ნ **ნიკო თავდგირიძის** მამულში, მოურავების ბაჟუნაიშვილების მიერ (სახეში გვყავს ჯამულეთი და ხოსო, ხოლო მოქმედების ასპარეზზედ გამოსულს ამ უკანასკნელს ვხედავთ).

ჯერ კიდევ ეს უკანასკნელნი არ იყვნენ, რომ ხსენებულ მამულს განაგებდა ნიკოს და, ქ-ნი ვისი თავდგირიძე და, გულწრფელად უნდა ვაღიაროთ, არ ყოფილა მაგალითი გლეხი დაჩაგრულიყოს მისგან. ის არ ეკუთვნოდა ისეთ ადამიანთა წრეს, რომლებიც ცხოვრების ზედა პირზედ გამოდიან და თავისუფლად პარპაშობენ. ის ანგარიშს უწევდა ყოველივე ახალ მოვლენას და ამიტომაც იყო ყველასთან კეთილ განწყობილებაში. ამას ადასტურებს ისიც, რომ გლეხი უსასყიდლოდ სარგებლობდა საბალახოთი, წვრილი შეშით და წკნელით. ეს დიდი დახმარება იყო დაკემულ გლეხის ოჯახისა. მაგრამ მოგეხსენებათ, დრო ცვალებადია და ჩვენც კეთილ ადამიანის მაგივრად მოურავებად მოგვევლინა ძმანი ბაჟუნაიშვილები.

მოპყრობა მოურავისა გლეხებისადმი არის სასტიკი და შემაძრწუნებელი და ჩვენც ყველა ბრალდებების დასამტკიცებლად ავალაპარაკოთ ფაქტები:

1. მოურავი ხოსო გზაში დაიჭერს ფქვილით დატვირთულ, წისქვილიდან მომავალ მოხუცებულ გლეხს მ. წ—ძეს.

— შენზედ ღალის მოუცემელი 8 კაპიკია დარჩენილი, მომეცით ეხლავე თორემ... და გლეხს მაგრად დაანჯღრევს.

— მოგართმევთ ბ-ნო, მხოლოდ ეხლა არაფერი გამაჩნია ჯიბეში. ნება მომეცით ღვთისგულისათვის ეს ფქვილი შინ მივიტანო და გეფიცებით ჩემს მოხუცებულობას ჩემი ხელითვე ჩამოგირბენინებთ—უპასუხებს ტვირთისაგან წელში მოკაკული, ოფლში გაწურული მ. წ-ძე.

გლეხის ასეთ მუდარას მოურავი ურჩობათ ღებულობს, ამოუდგება უკანიდან, დასცხებს პანღურს, და კარგი სახედარივით მიარბენინებს მახლობელ მეზობელთან,—აი, აქ ისესხე და მომეციო. გლეხს ბედმა აქაც უმტყუნა. მეზობელმა ვერ უშოვა ხურდათ რვა კაპიკი. და აი მეორდება წამება გლეხისა, ისევ პანღური, მუჯლუგუნი... გლეხი და მოურავი ეხლა მეორე მეზობელს მიადგებიან. აქ მოურავმა 8 კაპიკი მიიღო და გლეხიც გაანთავისუფლა.

გლეხი ისვენებს, ზურგიდან ტომარს იხსნის და მაღლა ღმერთს შეხედავს...

2. მოურავი ხოსო ავალებს თავის განკარგულებაში მყოფ მეწისქვილეს თითო-ორ-ორი გირვანქა სიმინდი მოპაროს ყველას (მინდს გარეშე) რათა ამით გააორკეცოს მისი ხვედრი შემოსავლისა.

3. მოურავმა ბეგარა დაადვა გლეხებს. ის აცხადებს საყოველთაოდ; ვისაც სურს სარგებლობა საყანე მიწით, საბალახოთი და ხე-ტყით, სასყიდელს გარეშე უნდა მომიგროვოს ქათამი, კვერცხი, ყველი, ღვინო, არაყი, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერავინ ისარგებლებს მამულითო. ხშირად შეხვდებით სოფელში ხურჯინით დატვირთულ გრძელ-წვერა მოურავს სახლში მიმავალს.

4. მოურავმა გლეხ ი. ჭ—ლის ოჯახში საბალახოს საფასურად მოითხოვა ორი იხვი. სურვილი დაკმაყოფილებულ იქნა. ხოსომ იხვებს ფეხებში სტაცა ხელი და მელასავით სახლისაკენ გააქანა. მოურავი ხედავს გზაში ერთი დამხრჩვალა, ბრაზდება, უკან ბრუნდება გლეხისას და დამხრჩვალის სამაგიეროდ თხოულობს მესამე იხვს.

5. მთელს თავდგირიძის საყანე მამულში გლეხებს არა აქვს საშუალება ზაფხულის პაპანაქება სიცხეში ხის ჩრდილს შეაფაროს თავი, რათა ეს უკანასკნელი ბ-ნმა მოურავმა სრულიად ასჩეხა და მიითვისა.

6. ბ-ნმა ნიკომ სოხუმიდან გამოგზავნა თავის მამულში გამოცდილი პლანტატორი ბერძნები, რათა თავისუფალ ადგილებზედ გაეშენებიათ თამბაქოს პლანტაციები. ასეთი პლანტაციები დიდ სარგებლობას მოუტანდა როგორც სოფელს, ისე მემამულესაც, მაგრამ ბ-ნმა მოურავმა კეტით გადარეკა ისინი.

7. მოურავი საქათმესაც ათვალიერებს.

— ბარბალე, რამდენ კვერცხზედ გიზის ქათამი?—ეკითხება ხოსო ნიკოს ოჯახში მსახურ ქალს. ბარბალეს ეუცხოვა ასეთი შეკითხვა, ეუცხოვა მოურავისაგან ქათმისა და კვერცხების დათვლა. მოურავი არ იძლევა ნებას გამოაჩეკინოს წიწილები, წიწილების რაოდენობაში ბარბალე მოატყუილებს მას, თითონ ისარგებლებს, და ამას კი ვერ შეურიგდება კეთილ-სინდისიერი მოურავი. გამოსაჩეკათ გამზადილი ქათმები ჩამოყავს, ჩოხაში ათავსებს და სახლისკენ მიეშურება.

8. კარგი და ნოყიერი მიწები ხოსომ მიითვისა საყანეთ, უვარგისი კი გლეხებს მიუგდო.

ასეთია მოქმედება-მოღვაწეობა ამ მოურავებისა.

გვჯერა, რომ ამ მოურავებისაგან გლეხების შევიწროება ნიკოს ყურამდე არ უნდა იყოს მისული, თორემ გულგრილად არ მოეკიდება ამ საქმეს.

ყველაფერი აქ აწერილი უნდა გვეცნობებინა ბ-ნ ნიკო თავდგირიძისათვის, მაგრამ ამას წინად მისი და, ქ-ნი ვისი, მოურავის ასეთი უდიერობით მოთმინებიდან გამოსული, თვითონვე ჩაუდგა მამულის მოვლა-პატრონობას სათავეში და აბეზარი მოურავები მოგვაშორა.

**ჭანჭათელი**

## მუშათა შორის

**ფოთი.**

პალიასტომის სათევზოს მუშებმა მრავალი მოთხოვნილებანი წარუდგინეს თავიანთ უფროსებს.

## მაჰმადიანთა ცხოვრება

**ბაქო.**

მეედი ბეგ ჰაჯი მამაევის თავმჯდომარეობით „ნეჯათ“-ის კრება მოხდა. კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა აკაკის ხსოვნას.

გადასწყვიტეს ამ ჟამად ბაქოში მყოფ კ. ფოცხვერაშვილის პატივსაცემად „ჩაი“, რომელსაც მაჰმადიანთა ყველა კულტურული საზოგადოების წარმომადგენლები დაესწრებიან.

## რუსეთი

სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე გ. როძიანკო დაბრუნდა პეტროგრადს.

**დორპატის უნივერსიტეტი ქ. ეკატერინოსლავში**

საგუბერნიო ყრილობას გადაუწყვეტია იშუამდგომლოს დორპატის უნივერსიტეტის გადმოტანისთვის.

## შემოწირულება

ბ-ნო რედაქტორო!

მოსკოვის ქართველმა საზოგადოებამ წლიურ კრებაზე **ქართულ თეატრის აღსადგენად** 300 მანეთი გადასდო. ამის გარდა, საზოგადოების წევრთა შორის შეიკრიბა ხელის მოწერით 130 მანეთი და 45 კაპ., რომელსაც ერთად გაახლებთ სულ 430 მან. 45 კ. დანიშნულებისამებრ გადასაცემად.

პატივისცემით საზოგადოების მოლარე **ნიკოლოზ თეიმურაზის ძე ხორავა.**

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**

## ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

**თბილისიდან გადის:**

| | | | № | ს. წ. | |
|---|---|---|---|---|---|
| ბათომისკენ | სამგ. | მ. | 9 | 8.53 | საღ. |
| „ | საფ. | „ | 3 | 9.58 | დილ. |
| ხაშურისკენ | სამგ. | „ | 19-20 | 3.20 | ნაშ. |
| ბაქოსკენ | ჩქარი | „ | 4 | 10.20 | საღ. |
| „ | ჩქარი | „ | 6 | 12.8 | დღის |
| „ | სამგ. | „ | 8 | 11.13 | ღამ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. | „ | 4-3 | 11.13 | ღამ. |

**თბილისში მოდის:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბათომიდან | საფ. | მ. | 4 | 9.30 | საღ. |
| „ | სამგ. | „ | 10 | 9.51 | დილ. |
| ბაქოდან | საფ. | „ | 3 | 9.3 | დილ. |
| „ | ჩქარი | „ | 5 | 7.41 | საღ. |
| „ | სამგ. | „ | 7 | 1.42 | ნაშ. |
| ხაშურიდან | სამგ. | „ | 19-20 | 7.25 | დილ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. | „ | 4-3 | 8.8 | დილ. |

## კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

**მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.**

**თბილისიდან გადის:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ტფილისიდან | 8 | ს. | 58 | წ. | დილ. |
| ნავთლუღი-ამიერ კავ. | 9 | „ | 23 | „ | „ |
| ნავთლუღი-კახეთისა. | 9 | „ | 43 | „ | „ |
| ვაზიანიდან | 10 | „ | 42 | „ | „ |
| იორიდან | 11 | „ | 35 | „ | „ |
| საგარეჯოდან | 12 | „ | 17 | „ | „ |
| ბადიაურიდან | 1 | „ | 15 | | დღის |
| მელაანიდან | 2 | „ | 37 | „ | „ |
| გურჯაანიდან | 4 | „ | 08 | „ | „ |
| ვაჩნაძიანიდან | 4 | „ | 58 | „ | „ |
| თელავში მიდის | 5 | „ | 35 | „ | „ |
| გურჯაანიდან | 4 | „ | 18 | „ | „ |
| კარდენახიდან | 4 | „ | 50 | „ | „ |
| წნორის-წყალ. მიდის | 5 | „ | 15 | „ | „ |

**თელავიდან**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| თელავიდან | 8 | ს. | 58 | წ. | დილ. |
| ვაჩნაძიანიდან | 9 | „ | 45 | „ | „ |
| გურჯაანიდან | 10 | „ | 46 | „ | „ |
| მელაანიდან | 12 | „ | 02 | „ | „ |
| ბადიაურიდან | 1 | „ | 13 | „ | დღის |
| საგარეჯოდან | 2 | „ | 15 | „ | „ |
| იორიდან | 2 | „ | 53 | „ | „ |
| ვაზიანიდან | 3 | „ | 40 | „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. | 4 | „ | 31 | „ | „ |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. | 4 | „ | 46 | „ | „ |
| თბილისში მიდის | 5 | „ | 01 | „ | „ |
| წნორის-წყლიდან | 9 | ს. | 16 | წ. | დილ. |
| კარდანახიდან | 9 | „ | 46 | „ | „ |
| გურჯაანში მოდის | 10 | „ | 16 | „ | „ |


## 1916 წ. მიიღება ხელის მოწერა

**დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ**

## „ნაკადულ“-ზე

**წელიწადი მეთორმეტე**

ჟურნალი **„ნაკადული“** გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ **მოწვეულ** სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

**ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ**

24 **წიგნი** „ნაკადული“-სა მცირე წლოვანთათვის. 12 **წიგნი** „ნაკადული“-სა მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი

**ფასი ჟურნალისა:** წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი 3** მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის **12 წიგნი—3** მან. გაგზავნით 3 მ. 50 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ვსთხოვთ ხელის მომწერლებს თუ ჟურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრესის გამოცვლა დროზე შეგვატყობინონ ადრესის გამოსაცვლელად—40 კ. შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს.

**ხელის მოწერა მიიღება**

**ტბილისში**—„ნაკადული“-ს რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი გოლოვინის პროსპ. № 8. Редакція „Накадули“, Головинскій пр. № 8. შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან, № 2. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქ. **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. **სამტრედიაში**—ვლ. ნაცვალაძესთან. **ფოთში**—ლუდმილა მეგრელიშვილთან. **ბათომში**—ტროფიმ ინასარიძესთან ფოსტაში და სამსონ ყაზაიშვილთან უპრავაში. **ოზურგეთში** და **ლანჩხუთში**—ლეო იმნაძესთან. **თელავში**—ვანო პაატაშვილთან. **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში**—მარიამ ნაკაშიძესთან. **გორში**—ქეთევან ჯავახიშვილთან და ნინო ლომოურთან. **ჭიათურაში**—ივ. გომელაურთან. **ხონში**—მ. ი. ჭავჭანიძესთან. **მიხაილოვში**—გიორგი ნაკაიძესთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**

გამომცემელი **თ-დ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.**

**წიგნის მაღაზია**

## „ახალი სიტყვა“ („Новая рѣчь“).

**ი. დ. კიკნაძისა.**

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

## თევზის მრეწველნი

## ძმ. ძიძიგურები

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

## განყოფილება ავლაბარში

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. **„ლ. მაილოვის-შვით**, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზალალა**, მცირე მარილიანი, შავი **„მეშოხნი“** ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.




სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4.